აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 104-ე წელი

გამოდის პარასკევობით

№6 (25.184) 21 თებერვალი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია თოვა, ზოგან - ძლიერი, მაღალ მთაში - ქარბუქი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 1-6, მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 770 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

შეხვედრაზე საჭირბოროტო საკითხებს გაუსვეს ხაზი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით, შუახევის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების გაცნობა.

ღონისძიება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ბერიძემ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარული და გარემოს დაცვის, საკონსტიტუციო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა მამუკა თურმანიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ ერთხელ კიდევ მიანიშნეს იმ პროგრამების მნიშვნელობაზე, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის ჯანდაცვასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდება. წინა წლებთან შედარებით პროგრამების ბიუჯეტი გაზრდილია და იგი 87 მილიონ ლარს აჭარბებს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა რიგ საჭირბოროტო საკითხებსაც. ითქვა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამომხმარებლო ბაზარზე ფასები ყველა სახის სამრეწველო საქონელზე მატულობს. ხანძრისაგან დაზარალებული ოჯახებისთვის დიდი შეღავათი აღარაა 20 ათასი ლარის დახმარება, ასევე, გადასახედია მეწყრული პროცესების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე საკომპენსაციო თანხების ზღვრული რაოდენობა.

შეხვედრის მონაწილეებს შუახევის მუნიციპალიტეტში წელს მოქმედი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის განყოფილების გამგე თეონა დიასამიძემ წარუდგინა. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელთა დადებითი შეფასება დაიმსახურა იმ შვიდმა პროგრამამ, რომლებიც წელს პირველად ამოქმედდა.

ანალოგიური ხასიათის შეხვედრა, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეების მონაწილეობით, ხულოშიც გაიმართა.

- ორივე მუნიციპალიტეტში საქმიანი და შინაარსიანი შეხვედრები გვქონდა. ამ ღონისძიებების მიზანია, მოსახლეობა უკეთ იყოს ინფორმირებული. თანხები, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხმარდება, ყველასთვის იყოს მისაწვდომი, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

გზები თოვლისგან იწმინდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გუშინდელი დილიდან თოვს აჭარის მთიანეთში. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკა საავტომობილო გზების თოვლის საფარისგან გაწმენდის სამუშაოებს აქტიურად აწარმოებს. ჯერჯერობით ხულოს მუნიციპალიტეტში ყველა მიმართულებით შეუზღუდავია საავტომობილო მოძრაობა

შუახევის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ ცენტრებთან მისასვლელ გზებზე ტექნიკა მობილიზებულია, ტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია და შიდა სასოფლო გზების გაწმენდის სამუშაოებიც მიმდინარეობს. ქედის მუნიციპალიტეტშიც საავტომობილო მოძრაობა ყველა მიმართულებით თავისუფალია.

თოვლის საფარი უფრო მეტია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში. აქ იგი 40 სანტიმეტრს აღწევს. გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს სარფი-კალენდერეს და ყოროლისთავის დასახლებებში, მაჭახლის ხეობაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო მოძრაობა თავისუფალია ყველა მიმართულებით.

თოვა მაღალი ზონის სოფლებში ინტენსიურად გრძელდება და დეპარტამენტის ტექნიკა ყველა მიმართულებით საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს გზის გაწმენდის სამუშაოებს.

ახალი კვირა - ახალი გადაწყვეტილებებით 2

თორნიკე შარაშენიძე: მერამდენე ასეთი რეზოლუციაა?! 5

«საზოგადოება ჩვენგან ელოდება ერთობას, ერთად მოქმედებას» 4

პირველი დასტაქარი, ვისაც საქართველოში ვარსკვლავი გაუხსნეს 6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ – ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

მიმდინარე კვირა ახალი გადაწყვეტილებებით დაიწყო. მმართველი გუნდის ინიციატივით, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატება „სამშობლოს ღალატის“ მუხლი.

ამის შესახებ ინფორმაცია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ გააცნო საზოგადოებას.

„ჩვენი გადაწყვეტილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატება, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, აღდგება სისხლის სამართლის კოდექსში „სამშობლოს ღალატის“ მუხლი, რომელიც თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამოიღო კოდექსიდან, რაც არ უნდა ვინმეს გაუკვირდეს, არ გაუკვირდეს, ან სიმბოლური იყოს, ეს მოხდა, ეს გააკეთეს აგვისტოს ომამდე, 2007 წლის აპრილის თვეში“, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ აუცილებლად უნდა არსებობდეს მუხლი, რომელიც სახელს დაარქმევს იმ დანაშაულებს, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაიდინა.

- „ნაცმოძრაობამ“ 2007 წლის აპრილში ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან „სამშობლოს ღალატის“ მუხლი და შემდეგ ამ ყველაფერს მოჰყვა ის პერიპეტიები, რომელიც აგვისტოს ომამდე მიმდინარეობდა და იმ მოღალატეობრივი კანონების მიღება, რომლებიც, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ, იყო გამოყენებული სტრასბურგის სასამართლოში. შესაბამისად, ახლაც მნიშვნელოვანია, არსებობდეს მუხლი „სამშობლოს ღალატის“ სახელწოდებით, რომელიც სახელს დაარქმევს იმ დანაშაულებს, რომლებიც შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსით არის განსაზღვრული, - განაცხადა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ.

ოპოზიციაში კი ფიქრობენ, რომ ამ მუხლით გასასამართლებელი დღეს სწორედ „ქართული ოცნებაა“.

- რეჟიმი რომ შეიცვლება, ზუსტად მათზე გავრცელდება ეს მუხლი. ეს „ქართული ოცნების“ მხრიდან მორიგი პოპულისტური ნაბიჯია. მათ უამრავი დანაშაული აქვთ, მათ შორის, ჯაშუშობის მუხლითაც შეგვიძლია მათი უმეტესობა გავასამართლოთ, რადგან ისინი საქართველოში რუსეთის ინტერესს წარმოადგენენ, - განაცხადა „სტარტეგია აღმაშენებლის“ გენერალურმა მდივანმა პაატა მანჯგალაძემ მედიასთან საუბარში.

ინიციატივას გამოხმაურება მოჰყვა აჭარაშიც.

- „სამშობლოს ღალატი“ სისხლის სამართლის კოდექსიდან „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ რატომღაც, სწორედ აგვისტოს ომამდე რამდენიმე თვით ადრე ამოიღო. ეს დამთხვევაა თუ მიზანმიმართული ქმედება, პასუხი მხოლოდ მათ ექნებათ, თუმცა „სამშობლოს ღალატის“ მუხლის დაბრუნება სისხლის სამართლის კოდექსში ადამიანებს გაახსენებს, რომ მსგავსი ქმედება დასჯადი იქნება, - გვითხრა ბათუმის საკრებულოს წევრმა, პარტია „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა ნინო ცხვარაძემ.

„გახარია საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი თემო ტარიელაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ როცა ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს ჩართულია საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაში, აუცილებლად აგებს პასუხს.

- არ ვიცი, ამ მუხლს მიიღებენ თუ, უბრალოდ, სხვა უამრავ დაპირებასავით შეუსრულებელი დარჩება, მაგრამ „სამშობლოს ღალატში“ მრავალჯერ შემჩნეული რომაა „ოცნება“, ეს საქართველოს მოქალაქეებმა კარგად ვიცით. რა არის სამშობლოს ღალატი, თუ არა ის, რომ სახელმწიფოსგან მხარდაჭერის არქონის გამო, დევნილი, ომიდან 30 წლის თავზე თავს იწვავს. სამშობლოს ღალატია, როცა ხელისუფლება საკუთარ ოცნებებსა და ფანტაზიებს ებრძვის გლობალური ომის პარტიისა და მასონების სახით, ამ დროს კი ქვეყანაში ასიათასობით ადამიანი შიმშილობს. ხელისუფლებას თავად არ სჯერა თავისი ლეგიტიმურობის, თორემ სოციალური პირობების გამოსწორებაზე, მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაზე იზრუნებდა და ძალაუფლების ძალადობითა და რეპრესიებით შენარჩუნებაზე არ იქნებოდა ორიენტირებული, - განაცხადა თემო ტარიელაძემ.

პარალელურად, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივით, პარლამენტში შეიქმნა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი“ დროებითი საგამოძიებო კომისია, რომლის თავმჯდომარედ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი თეა წულუკიანი აირჩიეს. მისი თქმით, კომისიის საქმიანობის მთავარი შედეგი იქნება დოკუმენტი, ისტორიული მნიშვნელობის დასკვნა და კომისიის მუშაობა დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს.

„ჩვენ ფაქტებზე დაფუძნებულად უნდა შევქმნათ დოკუმენტი, რომელიც ისტორიას დარჩება. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გარკვეული წლების შემდეგ ჩაიხედავს ამ დოკუმენტში, ეცოდინება, ვინ და როგორ მართავდა ქვეყანას 2003-2012 წლებში,“ - განაცხადა თეა წულუკიანმა.

დღეს, 21 თებერვალს, სხდომაზე მიწვეული არიან ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც 2005 წლის მარტში ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე იყო, ასევე, ნათია მოგელაძე, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში პოლიტიკური გაერთიანებების შესაბამის დეპარტამენტს მართავდა და ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც, წულუკიანის თქმითვე, „მრავალი წლის განმავლობაში აცხადებდა, რომ მას 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მე-2 ტური მოჰპარეს“.

მიწვევაზე უარს აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

„რუსულმა რეჟიმმა პირველი დამასახელა სტალინურ სასამართლოზე გამოძახებულთა შორის. არ ვაპირებ სტალინურ სასამართლოში მონაწილეობას იმის გამო, რომ მისი მიზანი ისტორიის გადაწერის მცდელობაა და მიმართულია საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ“, - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

შუა კვირაში ცნობილი გახდა, რომ „ნეტგაზეთისა“ და „ბათუმელების“ დამფუძნებელმა მზია ამაღლობელმა შიმშილობა შეწყვიტა. ამის შესახებ „ბათუმელების“ რედაქტორმა ეთერ თურაძემ კლინიკა „ვივამედთან“ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სადაც მან მზია ამაღლობელის წერილი წაიკითხა.

„ბათუმში, „ოცნების ქალაქში“ მომხდარი ტრაგედიის, ორი არასრულწლოვანი ბავშვის თხრილში ჩავარდნის და დაღუპვის ფონზე, ჩემს ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე საზოგადოების წუხილის მოსმენა წარმოუდგენლად მძიმეა ჩემთვის. ამ დღეებში, ექიმების დახმარებით შევეცდები, როგორმე შევძლო კვების აღდგენა. სინდისის პატიმრებს მადლობა სოლიდარობისთვის, ვთხოვ მათაც, შეწყვიტონ შიმშილობა. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი თანამოაზრეების, კოლეგების, მეგობრების და ოჯახის მიმართ. არ მინდა, ჩემმა შიმშილობამ დაგასუსტოთ, თქვენ ჩემს ნაცვლადაც უნდა იბრძოლოთ“, - წერს ამაღლობელი.

შეგახსენებთ, მზია ამაღლობელი გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან კლინიკა „ვივამედში“ გამოკვლევებისთვის 4 თებერვალს გადაიყვანეს.

მის გადაწყვეტილებას, 38-ე დღეს შიმშილობა შეეწყვიტა, შეფასებები პოლიტიკურ სპექტრშიც მოჰყვა. ოპოზიციამ მას მადლობა გადაუხადა.

„მადლობა მზია ამაღლობელს სწორი გადაწყვეტილებისთვის!

გამოჯანმრთელებასა და თავისუფლებას ვუსურვებ“, - დაწერა პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ სოციალურ ქსელში.

შიმშილობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მოიწონა მმართველმა გუნდმაც, თუმცა უმრავლესობაში ამბობენ, რომ ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, კანონით აგებს პასუხს. მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ მზია ამაღლობელის ჯანმრთელობით ოპოზიცია სპეკულირებს.

„სასიხარულოა, რომ ქალბატონმა მზიამ შიმშილობის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მის ჯანმრთელობას ძალიან აზიანებდა. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ ყოვლად მიუღებელია, როდესაც ოპოზიცია ან, თუნდაც, უცხო ქვეყნის საელჩოები არ მოუწოდებდნენ შიმშილობის შეწყვეტისკენ და, პირიქით, სპეკულირებენ მისი ჯანმრთელობით, ცდილობენ, ადამიანი წააქეზონ უკიდურესი ზომებისკენ,“ - აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ქადაგიშვილმა.

მმართველ გუნდს მაგალითად მოჰყავს ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკის განცხადებაც, რომელმაც მზია ამაღლობელის გათავისუფლება მოითხოვა და არ უხსენებია, რომ შიმშილობა შეეწყვიტა. ჰერჩინსკის თქმით, „შიმშილობა სიმამაცის აქტია“.

„გაოგნებული ვარ ევროკავშირის ელჩის განცხადებებით, მათ შორის გუშინაც ჰქონდა მას განცხადება, რომელიც შეიძლება ითქვას, პირდაპირ წაქეზება იყო, რომ ადამიანს საკუთარი თავის დაზიანება გაეგრძელებინა. როდესაც ამას აკეთებს ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში, ეს აჩვენებს მის პირად აცდენას არათუ ევროპულ, არამედ ადამიანურ ღირებულებებთან. ნაცვლად იმისა, რომ მიემართა მზია ამაღლობელისთვის და ეთქვა, შეეწყვიტა შიმშილობა, ვნახეთ მისი მხრიდან წაქეზება, რომ ადამიანს გაეგრძელებინა საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკვაძემ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერ ლევან ზოიძესთან, რესურსცენტრის უფროს მადონა გოგიტიძესთან, საქართველოს პარლამენტის წევრებთან გია ჭყონიასთან, ზაალ მიქელაძესთან და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლა დაათვალიერა. სკოლაში განხორციელდება შენობის მთლიანი შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეიცვლება კარები და ფანჯრები. ფასადი სრულად შეიფუთება საფასადე ფილებით, რაც დაიცავს შენობის ინტერიერს ნალექისგან, გაზრდის შენობის ექსპლუატაციის ვადას და ენერგოეფექტურობას. ასევე, კეთილმოეწყობა ტერიტორია და სახანძრო სიგნალიზაცია. პროექტის ღირებულება 2 000 000 ლარია.

* * *

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვში მდებარე ლაო ჯინ ჯაოს სააგარაკე სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელ ზაურ ახვლედიანთან და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. სააგენტო მუშაობას იწყებს შენობის ინტერიერის დიზაინზე. გათვალისწინებულია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით საგამოფენო სივრცის მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება ქართული ჩაის ისტორიის სრული სურათის გაცნობა, ჩაის დეგუსტაცია, სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ბათუმში აზერბაიჯანის გენერალურ კონსულთან ფუად აზიზოვთან. მინისტრმა შეხვედრაზე დიპლომატს საქართველოს ჯანდაცვის და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო. ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ჯანდაცვის სფეროში არსებული თანამშრომლობის შესახებ.

* * *

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის ფარგლებში, დღეისათვის, სამუშაოები აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ერთდროულად ხორციელდება. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 100 მლნ ევროზე მეტია. უწყების ცნობით, ამ ეტაპზე, ქობულეთში, სოფელ ჯიხანჯურში, 200 კუბური მეტრი მოცულობის წყლის რეზერვუარი შენდება. უკვე მოეწყო საძირკველი და მიმდინარეობს კედლების მშენებლობისთვის საჭირო არმირების პროცესი. აღნიშნული წყლის რეზერვუარი ჯიხანჯურის და ცეცხლაურის დასახლებას, ჯამში, 603 ოჯახს მოემსახურება. „გარდა ამისა, ჯიხანჯურში წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები და ჭაბურღილამდე მისასვლელი გზის მოწყობა მიმდინარეობს. 53-მეტრიანი ჭაბურღილის მოწყობა უკვე დასრულდა და დაწყებულია წყლისა და ნიადაგის კვლევა. პარალელურად, ოჩხამურსა და ჯიხანჯურში, 5 ლოკაციაზე, როგორც მაგისტრალური, ისე შიდა წყლის გამანაწილებელი და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა ხორციელდება. ქვედა კვირიკეში დასრულდა წყლის გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები. დაგეგმილია რეზერვუარის მშენებლობა, მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის დასრულების შემდეგ, აჭარის 39 სოფელი (30 ათასი აბონენტი) და დაბები 24-საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

საქართველოში საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში, აჭარის მუნიციპალიტეტებში ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობისთვის საჭირო პროცედურები უკვე მიმდინარეობს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, მშენებლობა გაზაფხულის ბოლოდან დაიწყება. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე პროექტის მიმდინარეობას გაეცნო. შეხვედრაზე კომპანია „ოუფენ ნეტის“ დირექტორმა მარიამ სულაბერიძემ განაცხადა, რომ პროექტის განხორციელების შედეგად, მოსახლეობას სწრაფ და ხარისხიან სატელეკომუნიკაციო სერვისებზე წვდომა ექნება. პროექტის ფარგლებში, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში უკვე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა,

იხ. მე-7 გვ.

დავით ბაციკაძე: ლეგიტიმაცია მოგვცა ხალხმა, აქედან გამომდინარე, არ გვჭირდება გარე სამყაროს შეფასება

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

გთავაზობთ ინტერვიუს აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) ვიცე-პრეზიდენტ ***დავით ბაციკაძესთან****, რომელიც პოლიტიკურ შეფასებას აძლევს ევროპარლამენტის რეზოლუციას საქართველოში ხელახალი არჩევნების ჩატარების თაობაზე და თვლის, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, ისევე, როგორც მეორე, მესამე... მსგავსი რეზოლუციების შემდეგ. დეპუტატი ასევე საუბრობს ბათუმში პერმანენტულად მიმდინარ ე აქციებზე, დონალდ ტრამპის პოლიტიკაზე და აცხადებს, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტი იქცევა ისე, როგორც აანონსებდნენ „ქართული ოცნების“ წევრები.*

- ბატონო დავით, როგორ შეაფასებთ ევროპარლამენტის ბოლო რეზოლუციას?

- რა და როგორ უნდა შევაფასო? მერამდენე რეზოლუციაა, ერთი და იგივეს აკეთებენ. ვერ ისწავლეს, რომ მათ განცხადებებს ფართო საზოგადოებისთვის არავითარი ფასი არ გააჩნია. მეექვსე რეზოლუციაა უკვე და არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მსგავს წინადადებებს საფუძვლად უდევს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირების აზრი, რომელსაც ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია აყალიბებს. ყველამ ვიცით, რომ მათ არ მოეწონათ ჩვენ მიერ ჩატარებული არჩევნების ჭეშმარიტი შედეგები და ახლა ყველა ხერხით ცდილობენ „ქართული ოცნების“ ცუდად წარდგენას ევროპაში. თხზავენ არარსებულ „ფაქტებს“ და ამით აპელირებენ, ქმნიან ფარსზე დაყრდნობილ აყიოტაჟს, თუმცა არაფერი გამოსდით. ამას უკვე მივეჩვიეთ ჩვენც და ჩვენი ამომრჩევლებიც. ახალი არაფერი ხდება, ერთი და იმავე სცენარით მოქმედებენ, ასე რომ, არაფერი გვაქვს სათქმელი და შესაშფოთებელი.

- ანუ არ იქმნება ამ მთავრობის არალეგიტიმურად გამოცხადების საფრთხე?

- ძალიან მარტივად გეტყვით: ლეგიტიმაციას გვაძლევს ხალხი. მილიონ 200 ათასამდე ამომრჩეველმა მისცა „ქართულ ოცნებას“ ხმა. მე, პირადად, აქტიურად ვიყავი ჩართული საარჩევნო შტაბში, საიდანაც კარგად ჩანდა ელექტორატის ჭეშმარიტი განწყობა. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩვენგან განსხვავებით, ოპოზიციურ პარტიებს საერთოდ არ უწარმოებიათ წინასაარჩევნო კამპანია, დიდად არ შეწუხებულან.

- როგორ ფიქრობთ, რატომ უგულებელყვეს წინასაარჩევნო კამპანია?

- ალბათ, იცოდნენ, რომ წააგებდნენ და უკვე იქიდან ამზადებდნენ რევოლუციის სცენარს. კარგად დაინახეთ ამ მზადების რეალური შედეგები, ვგულისხმობ იმ აქციებს, რომლებზეც არავის ზოგავდნენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ჩვენ ლეგიტიმაცია მოგვცა ხალხმა, აქედან გამომდინარე, არ გვჭირდება გარე სამყაროს შეფასება. ჩვენი მოქალაქეების ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოურ ჩარჩოებშია მოქცეული, იმ დროს იმას აკეთებდნენ, რასაც კრემლი ბრძანებდა, ახლა ევროპარლამენტარებს შეჩერებიან პირში და ნებისმიერ ქმედებაზე მათ მოწონება-არმოწონებას ელიან, ანუ აუცილებლად სხვების მონები უნდა იყვნენ, ეს მათი არჩევანია, ჩვენ რით დავეხმარებით ამ საქმეში, არ ვიცი... ის, რომ ევროპარლამენტი დღეს სერიოზული პრობლემების გამო ჭაობშია ჩაფლული, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. იმასაც ვხედავთ, რა დონეზე მოიკიდა ფეხი ევროპაში ლიბერალურმა ფაშიზმმა. აქედან გამომდინარე, მათ არ აწყობთ ის მთავრობები, რომლებიც კონსერვატიულ-ცენტრისტულ პოლიტიკას ატარებენ. ახლა დამტკიცდა ის, რასაც ვამბობდით ამერიკის ახალი პრეზიდენტის სათავეში მოსვლასთან დაკავშირებით. ოპონენტები ხუმრობენ კიდეც, ტრამპი, ალბათ, ბიძინას უსმენს და ისე ატარებს რეფორმებსო... მესმის ოპოზიციის - იმედი მწარედ გაუცრუვდათ, ტრამპის ადმინისტრაციამ შეცვალა მსოფლიო წესრიგი კონსერვატიული პარტიების მხარდაჭერით. ეს არც ევროპარლამენტარების იმ ნაწილს აძლევს ხელს, რომელიც ამ პოლიტიკის მუდმივი წინააღმდეგი იყო. ამიტომ ცდილობენ საქართველოში მათთვის მისაღები კლიმატის შექმნას და ყველა ღონეს ხმარობენ, ჩვენი ოპოზიციის იმედები რაღაცით მაინც გაამართლონ, მაგრამ კარგად ვხედავთ, რომ მეექვსე რეზოლუცია გამოსცეს და... არაფერი! ფართო საზოგადოებაში მას მხარდაჭერა არ აქვს და არც ექნება. დიდი იმედი მაქვს, რომ სიტუაცია დალაგდება ევროპის ქვეყნებში არჩევნების ჩატარების შემდეგ. უკვე იწყება არჩევნები გერმანიაში, მალე საფრანგეთშიც მოუწევს მაკრონს პოსტის დატოვება. როდესაც ევროპის ამ ძირძველ ქვეყნებში ლიბერალებს კონსერვატორები ჩაანაცვლებენ, აბსოლუტურად ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდება ყველა და ბრიუსელი ასე ვეღარ გააგრძელებს საკუთარი პოლიტიკის სხვა ქვეყნებზე იძულებით თავს მოხვევას.

- რადგან ამერიკას არ სცალია საქართველოსთვის, შესაბამისად, ყველაფერი დაპაუზებულია ევროკავშირში. ტრამპმა არ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია მაშინაც კი, როდესაც ევროკავშირი ჩვენს სანქციებზე ვერ შეთანხმდა.

- ალბათ ნახავდით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომ ყველაშვილია პრეზიდენტი და არა ზურაბიშვილი. რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი რიკარდ იოზვიაკი, რომელიც ყოველთვის საღად აფასებს სიტუაციას, ამბობს, რომ ევროპარლამენტი რაღაც ეტაპზე იქნება „გაბუტვის“ რეჟიმში, რადგან ჯერ კიდევ ელოდება რევოლუციას გაზაფხულზე. როდესაც მსგავსი არ და ვერ მოხდება, მოუწევს გადათამაშება და რეალობის აღიარებაო. თავისთავად, შეიცვლება რიტორიკაც. ტრამპის განცხადებები USAID-ის შესახებ ყველამ მოვისმინეთ. გამოჩნდა ის, რასაც ვამბობდით, ვგულისხმობ საქართველოში (და არა მხოლოდ) რევოლუციის მოწყობის მცდელობას. ისინი ამზადებდნენ რევოლუციებს სხვადასხვა ქვეყანაში, რათა ლიბერალიზმი გაებატონებინათ მთელ მსოფლიოში. ამერიკის წინა ადმინისტრაციამ ძალიან დიდი ზეწოლა განახორციელა საქართველოზე, დიდი ფული ჩადო და, ამის მიუხედავად, მაინც ვერ მოახერხა რევოლუციის მოწყობა, რადგან ხალხი არ აჰყვა და უმრავლესობა „ქართული ოცნების“ მხარეს დადგა. იმ მცირერიცხოვანმა აქციებმა, აგრესიის მიუხედავად, ვერ მოახდინა გავლენა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზე. სწორედ ამიტომ გვაქვს იმედი, რომ ხალხი დაიცავს თავის არჩევანს. ტრამპის ადმინისტრაცია უპირველეს მიღწევად შეთანხმებებს და მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ბრიუსელსაც მოუწევს ჩვენთან ლაპარაკი, ფაქტების სწორად გაანალიზება, რეალობის სწორად აღქმა და არა იმის ძახილი, რომ ეს რუსული კანონია, მაშინ როდესაც ამ კანონს არაფერი აქვს საერთო რუსულთან... მოკლედ, ჩემი პროგნოზი ასეთია: უმოკლეს ვადაში მოუწევს ევროპარლამენტს ჩვენი სიმართლის აღიარება და უკან დახევა.

- თუ მაინც არ გვაღიარებენ?

- თუ არ გვაღიარებენ, რა ვქნათ ახლა, ვინც ჩვენ არ გვაღიარებს, არც ჩვენ ვაღიარებთ. ყველაფერი ეროვნული და ტრადიციული მათთვის პრორუსული და მემარჯვენე-პოპულისტურია. იმას, სამშობლო რომ გვიყვარს, ტრადიციებს ვინარჩუნებთ და ეკლესიას ვცემთ უდიდეს პატივს, პოპულისტობაში გვითვლიან და ამის გამო ცუდად მოგვიხსენიებენ... დასრულდება ლიბერალური ფაშიზმიც, თუ არ დასრულდება, დასუსტდება მაინც მთელ მსოფლიოში და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

- პერმანენტულად ტარდება აქციები აჭარის მთავრობის სახლთან...

- დემოკრატიის ხიბლი სწორედ ისაა, რომ კანონის ჩარჩოებში ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. მიაჩნიათ, რომ უნდა გააპროტესტონ? კი ბატონო, გააპროტესტონ... ხომ ხედავთ, ეს აქციებიც მილევად რეჟიმშია. თავის დროზე რომ ვამბობდი, ამ ხალხს აფინანსებენ-მეთქი, არ სჯეროდათ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ფაქტები გაასაჯაროვა ტრამპის ადმინისტრაციამ. 41 მილიონი აქვთ დახარჯული არჩევნების შემდეგ საქართველოში არეულობის და რევოლუციის მოსაწყობად. რაც მანამდე დახარჯეს USAID-მა და სხვა დონორებმა, ეს კიდევ სხვა თემაა...

- თქვენ თვლით, რომ აქციებს მათ მიერ დაფინანსებული ადამიანები აწყობენ?

- ნაწილი ფულის გამო გამოდის აქციებზე, ნაწილი - თავისი ნებით და იდეოლოგიური შემართებით. ყველაფერი ერთად კი ქმნის „კარტინკას“. ახლა ეს „კარტინკაც“ აღარ აქვთ.

- უმაღლესი საბჭოს ოპოზიციონერი დეპუტატების უმრავლესობამ ჩახსნა საკუთარი კანდიდატურა...

- კი, ჩვენ დავაკმაყოფილეთ მათი განცხადებები. სხვათა შორის, მე წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოშიც ვიყავი ამის მომხრე, მაშინ უმრავლესობამ არ შეუწყვიტა მათ უფლებამოსილება და მერე თავად შემოლაგდნენ. ახლა აღარ მივეცით მანიპულირების საშუალება და პირდაპირ გავუშვით.

- გახარიას პარტიის წევრებსაც „გაუშვებთ“?

- დიახ, იგივე ელოდება მათაც, საკმაოდ მარტივად გადავწყვეტთ ამ საქმესაც. ახლავე გეტყვით, კანონით როგორ არის: საგაზაფხულო სესიაზე, ივლისის პირველ ხუთშაბათამდე, თუკი არ შემოვლენ და მონაწილეობას არ მიიღებენ უმაღლესი საბჭოს მუშაობაში, შევიკრიბებით უმაღლესი საბჭოს იურიდიული კომიტეტი, დავდებთ დასკვნას, რომ მათ უგულებელყვეს საგაზაფხულო სესია და მივიღებთ გადაწყვეტილებას, შეუწყდეს უფლებამოსილება გახარიას პარტიის წევრ ორ დეპუტატს... ძალიან საჩოთირო სიტუაციაში იგდებენ თავს, რომ იღებენ დაფინანსებას, თან აცხადებენ, რომ საბიუჯეტო ფულია და სხვ. ირიბად, გვარამიას პარტიის გარდა, ამით ყველამ აღიარა არჩევნების საბოლოო შედეგები.

- რას გულისხმობთ?

- ცესკოს დაფინანსების რაოდენობა მიბმულია პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობაზე. ანუ გამოდის, ეს შედეგები აღიარეს, ფული მიიღეს და დახარჯეს კიდეც. ყველამ კარგად იცის, რა ხდება... სხვათა შორის, გახარია ცოტა ეშმაკურად იქცევა. სიები არ ჩახსნა, მაგრამ არც საკანონმდებლო ორგანოებში დადის მისი ხალხი. გაყრიან მის დეპუტატებს პარლამენტიდან, შემოდიან მისი პარტიის შემდეგი წევრები, იღებენ ფულს და არ დადიან, შემდეგ, ალბათ, იმათაც გაუშვებენ, რომლებიც ისევ სხვა ხალხით ჩანაცვლდება და სხვა.

- როგორ შეაფასებთ გახარიას ასეთ საქციელს?

- ვაჭარია გახარია და ფულის გამო ბევრ რაღაცაზე მიდის, სხვა რა შეფასება უნდა მივცეთ ამ ქმედებებს?!

- ბატონო დავით, თუკი უკვე ჩახსნილმა დეპუტატებმა გადაწყვიტეს უკან დაბრუნება, თუ აქვთ შანსი?

- შანსი მხოლოდ გახარიას იმ ორ დეპუტატს აქვს, სხვებს დაბრუნების არავითარი ბერკეტი აღარ დარჩა.

- რამდენად მისაღებია ავტონომიური რესპუბლიკისთვის ერთპარტიული საკანონმდებლო ორგანო და ნორმალურად იფუნქციონირებს თუ არა შეთხელებული უმაღლესი საბჭო?

- მართლაც, ძალიან ცუდია ერთპარტიული საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არაა. გასულმა დეპუტატებმა, პირველ რიგში, საკუთარ ამომრჩევლებს არ სცეს პატივი და არ გაამართლეს მათ მიერ მიცემული ნდობის მანდატები. რაც შეეხება ფუნქციონირებას, ძალიან ნორმალურად ვიმუშავებთ, 11 დეპუტატი სჭირდება სხვადასხვა კანონის, ბიუჯეტის მიღებას, ჩვენ ვართ ცამეტი. სიმართლე გითხრათ, უფრო კომფორტული გარემო გვექნება მათი დაპირისპირებების და უხეში მომართვებისგან რომ გამოვთავისუფლდებით, მაგრამ მე პირადად, ოპოზიცია აუცილებლობად მიმაჩნია ნებისმიერი საკანონმდებლო ორგანოს ეფექტურად მუშაობისთვის. ოპოზიციამ უნდა შეისწავლოს საკითხი, გაგვაკრიტიკოს ნაკლოვანებების აღმოჩენის და დასაბუთების შემთხვევაში. ხანდახან რომ მგონია, მართალი ვარ, საღი კრიტიკა სულ სხვა მხრიდან დამანახებს ამა თუ იმ საკითხს. მოკლედ, ოპოზიცია საჭიროა, მაგრამ რას ვიზამთ, არჩევნების შედეგები არ მოეწონათ და უარი თქვეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე. მაგათ შემდეგი არჩევნებიც რომ ჩავუტაროთ, შედეგი არც მაშინ მოეწონებათ, დარწმუნებული ვარ, მაინც გამოძებნიან სადავო საკითხს. რა ვქნათ, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ, ვიმუშავებთ რეგიონის ნორმალურად ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის.

- ესე იგი არ მიგაჩნიათ მისაღებად ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ბევრი თვლის, რომ ამით განიმუხტება პოლიტიკური კრიზისი და შენელდება დაპირისპირება.

- ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შანსი ნულის ტოლია - ამას ამბობენ პრემიერი, პარტიის თავმჯდომარე და სხვა თანამდებობის პირებიც. მორიგი არჩევნები დაინიშნება 2028 წლის ოქტომბერში. ახლა, შემოდგომაზე, ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები და შეუძლიათ იქ მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

- ჩვენმა მთავრობამ გაახმირა სამუშაო ვიზიტები აზიის ქვეყნებში. როგორ ფიქრობთ, შევძლებთ თუ არა „აბრეშუმის გზის“ საბოლოოდ ამოქმედებას?

- ამ გზის მშენებლობა უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა. დერეფანი, რომელიც აზიას ევროპასთან დააკავშირებს რუსეთის ჩახსნით, სწორედ ჩვენი ქვეყნის გავლით ამოქმედდება, რაც დიდ სარგებელს მოუტანს ქვეყანას და სულ სხვა დონეზე დაგვაყენებს, იგივე დასავლეთთან ურთიერთობის კუთხით. ჩინეთის ძლიერი ეკონომიკა ჩვენი წარმატების საწინდარიც გახდება, ერთ-ერთი უდიდესი იმპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში და მიმაჩნია, მასთან პარტნიორობა ბევრ პრობლემას მოგვიხსნის. რაც შეეხება მხოლოდ აზიაში ვიზიტებს, ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ჩვენი პრემიერი ახლახან უნგრეთს ეწვია. რა ვქნათ, ზოგ ქვეყანას მოვწონვართ, ზოგს - არა. ეს მათი გემოვნების საკითხია, მაგრამ ოპოზიცია ყველა ნაბიჯს რომ გვიზომავს და თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს, უკვე მოსაბეზრებელი ხდება. გაიხსენეთ, ტრამპს პირველი პრეზიდენტობის დროს როგორ ლანძღავდნენ, ახლა, მისი მეორედ მოსვლის წინა პერიოდში, მიჩუმდნენ, რადგან ევროკავშირის დახმარების იმედი ჰქონდათ, თუმცა როგორც კი ტრამპმა გაასაჯაროვა თავისი გეგმები, აღარ მოეწონათ და ისევ მის წინააღმდეგ გამოდიან.

- რადგან ისევ ტრამპს შეეხეთ, მისი და პუტინის სატელეფონო საუბარიც შევაფასოთ, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა...

- ვიღაც ხომ უნდა დაელაპარაკოს ამ პუტინს?! მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს. ომს სჯობია ყველაფერი. შეიარაღებული კონფლიქტები მთელ დედამიწაზე უნდა დასრულდეს. მესმის ევროპარლამენტის გაღიზიანება, რადგან ტრამპი ამ ორგანიზაციას არ აღიარებს, ის ამჯობინებს, პირდაპირ დაეკონტაქტოს ევროპის ქვეყნებს... იცვლება მსოფლიო, თანაც იცვლება იმ სქემით, რომელსაც ვპროგნოზირებდით.

> ***„ოპონენტები ხუმრობენ კიდეც, ტრამპი, ალბათ, ბიძინას უსმენს და ისე ატარებს რეფორმებსო... მესმის ოპოზიციის - იმედი მწარედ გაუცრუვდათ, ტრამპის ადმინისტრაციამ შეცვალა მსოფლიო წესრიგი კონსერვატიული პარტიების მხარდაჭერით. ეს არც ევროპარლამენტარების იმ ნაწილს აძლევს ხელს, რომელიც ამ პოლიტიკის მუდმივი წინააღმდეგი იყო***

„საზოგადოება ჩვენგან ელოდება ერთობას, ერთად მოქმედებას“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველოში მიმდინარე პროცესები კითხვებს ბადებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. აქციები, შიმშილობა, პოლარიზებული გარემო და ურთიერთქიშპი ქართული პოლიტიკის თანმდევი ნაწილია, რაც ოპოზიციის აზრით, გამოწვეულია არჩევნების გაყალბებით და ხელისუფლების ანტიდასავლური რიტორიკით. თავის მხრივ, მმართველი პარტია აცხადებს, რომ ახალი არჩევნები 2028 წელს გაიმართება, ევროპული კურსი კი შეუქცევადია და მის გადახედვას არავინ აპირებს

მაინც, როგორია რეალობა? რა უნდა გავაკეთოთ ახლა და მომავალში? - ამის თაობაზე გვესაუბრება კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, ბათუმის საკრებულოს წევრი ***ვაჟა დარჩია.***

- როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს?

- უკვე 70 დღეზე მეტია, ქვეყანაში ვითარდება პროცესი, რომლის მსგავსი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა. ყოველდღიურად მიმდინარეობს აქციები, გადაკეტილია რუსთაველის პროსპექტი. აღსანიშნავია, რომ პროტესტი არის ნაკლებად დეცენტრალიზებული. დღეღის ტემპერატურა რეგიონებშიც საკმაოდ მაღალია, მწვავე პროტესტს გამოხატავენ ბათუმშიც, ათობით ადამიანი შიმშილობს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მოკლედ, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. წარმოუდგენელია, რომ ეს კრიზისი ასე გაგრძელდეს, უშედეგოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში განვითარდება ძალიან მძიმე პროცესები, სავარაუდოდ, ქვეყნის იზოლაცია, ასევე, ეკონომიკური კრიზისი და... ადამიანები ქუჩაში გამოვლენ უკვე არა ევროპული არჩევანის დაცვისთვის, არამედ ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად.

- პროტესტზე ვისაუბროთ: მუხტი ხომ არ მინელდა?

- საპროტესტო მუხტი არ შენელებულა იმის მიუხედავად, რომ მმართველი გუნდი ყოველდღიურად ატარებს სპეცოპერაციებს აქტივისტების წინააღმდეგ. პროტესტი რომ მინელებული იყოს, ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ რეპრესიებს არ მიმართავდა. „ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ ათასობით ადამიანი, რომელიც რუსთაველზე გამოდის, არსად წასულა... ვნახოთ, რას შესთავაზებს მმართველი პარტია მომიტინგეებს - აუცილებელია გათავისუფლება დაპატიმრებული ადამიანებისა, რომელთა ჯანმრთელობის პრობლემები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, თუნდაც ბატონი თემურ ქათამაძის და ქალბატონი მზია ამაღლობელის. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, მათ გათავისუფლებაზე როგორი რეაგირება ექნება ხელისუფლებას. თუ არანაირი უკუკავშირი არ იქნება და ღმერთმა დაიფაროს, ფატალური შემთხვევა მოხდა, ვგულისხმობ იმას, შიმშილობის შედეგად რომ დაიღუპონ, ეს სავალალო დიაგნოზი იქნება ხელისუფლებისთვის.

- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებებითაა დაკავებული და ახალგაზრდების პროტესტსაა ამოფარებული...

- ეს არის არა ოპოზიციის, არამედ უკმაყოფილო ხალხის პროტესტი. ცხადია, აქციების მონაწილეები, ძირითადად, ოპოზიციის ამომრჩევლები არიან, მაგრამ პროტესტის წყარო თავად ხელისუფლებაა. გავიხსენოთ 26 ოქტომბრის არჩევნები, შემდეგ კი 28 ნოემბერი, როდესაც ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ ჩვენ ვშორდებით ევროკავშირს... სწორედ ამის შემდეგ შეიძინა პროტესტმა დიდი მასშტაბი და არა მაშინ, როცა გაყალბდა არჩევნები და ეს არაერთმა საერთაშორისო თუ შიდა დამკვირვებელმა დაადასტურა. ჩვენ მაშინ ვერ შევძელით სრულმასშტაბიანი პროტესტის წარმართვა, თუმცა შემდეგ შექმნილმა ვითარებამ გააჩინა განცდა იმისა, რომ ოპოზიცია ამ პროცესში ხალხთან ერთადაა ჩართული, ამიტომ ოპოზიციის დესტრუქციულობაზე საუბარი არამართებულია.

- ოპოზიციას გაუუქმდა საპარლამენტო მანდატები, გახარიას გარდა. მისმა თავშეკავებამ ოპოზიციის განაწყენება გამოიწვია...

- ჩვენი მოთხოვნა ამ მიმართებით დააკმაყოფილეს, გახარიას გუნდმა კი განაცხადა,

რომ ელოდებიან პროცედურებს. საზოგადოება ჩვენგან ელოდება ერთობას, ერთად მოქმედებას, სამომავლო კოალიციაზე საუბარს, მათ შორის, ბარიერგადალახული სუბიექტებისგან. ცალ-ცალკე სტრატეგიები და გზები არ უნდა იყოს მისაღები ამომრჩევლისთვის. პარლამენტში მმართველ პარტიას 89 დეპუტატი ჰყავს. მარტის ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლოში მერაბ ტურავას ვადა გასდის, არადა, მოსამართლეების არჩევას 90 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება. თუ გახარიას პარტიის მანდატები არ იარსებებს, ავტომატურად ვერ აირჩევენ მოსამართლეებს, ხოლო თუ თორმეტი მანდატი იარსებებს, ეს შეიძლება გახდეს ვაჭრობის საგანი მმართველი პარტიის მხრიდან.

- ოპოზიციას გახარიას პარტიასთან თუ აქვს საუბარი ამაზე?

- ჩვენ კონსულტაციებს ვმართავთ. ისინი საჯაროდ ამბობენ, რომ არ მისცემენ ლეგიტიმაციას ამ პარლამენტს, თუმცა გზას მაინც იტოვებენ, რომ რაღაცნაირად დეპუტატები ერქვათ.

- კონსტიტუციონალისტები აცხადებენ, რომ თუ ისინი არ ჩახსნიან სიას, მაშინ ამ 12 დეპუტატს გაუუქმებენ მანდატებს და მათ ნაცვლად სხვა 12 დეპუტატი შევა პარლამენტში...

- ეს მნიშვნელოვანი აქცენტია იმიტომ, რომ თუ ამ 12 დეპუტატს მაისში უფლებამოსილებას შეუწყვეტენ ეგრეთ წოდებული გაცდენების გამო, შემდეგ სხვა 12 დეპუტატს ეძლევა უფლება, შევიდეს პარლამენტში. მოკლედ, 89 დეპუტატის დატოვება პარლამენტში ნიშნავს, რომ ვერ აირჩევენ სახალხო დამცველს, ასევე, უზენაესში მოსამართლეებს ვერ დანიშნავენ, აღარ არის საუბარი კონსტიტუციაზე, რომ შეცვალონ სათავისოდ. ამიტომ მმართველი პარტია მარტო უნდა დავტოვოთ პარლამენტში, ქვეყანას მნიშვნელოვანი ზიანი რომ არ მიაყენოს.

- როგორც ცნობილია, მმართველმა პარტიამ წინა ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება დაიწყო...

- სიგიჟე მგონია ეს ამბავი - 13 წლის შემდეგ წინა ხელისუფლების დანაშაულების გამოძიება კომიკურია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ამ გუნდის ბევრი ოდიოზური ფიგურა „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს, მათ შორის, სასამართლოს კლანებზე რომ ვსაუბრობთ, სწორედ იმ დროს გაჩნდა, მმართველმა პარტიამ კი დაიტოვა ისინი. სავარაუდოდ, რამდენიმე ადამიანის რეპრესია მოჰყვება ამ გამოძიებას, თუმცა პოლიტიკური დატვირთვა არ ექნება გარდა იმისა, რომ რაღაცნაირად თავიანთი ამომრჩევლის გული მოიგონ.

- რას იტყვით ქართულ ოპოზიციურ სპექტრზე? ექსპერტები აცხადებენ, რომ უნდა შეიქმნას ეროვნული ხსნის კომიტეტი.

- ცოტა ხნის წინ იყო შეხვედრა ოთხი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებისა სალომე ზურაბიშვილთან. ჩვენ დღეს საზოგადოება გვთხოვს ერთმანეთთან თანამშრომლობას. ყველა პოლიტიკოსს მოვუწოდებ, საზოგადოების ამ მოთხოვნის მიმდევარი იყოს. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან ერთად უნდა იმუშაოს როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით.

- სალომე ზურაბიშვილის როლს როგორ აფასებთ ამ პროცესში?

- მისი როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ის არის ერთადერთი ლეგიტიმური ინსტიტუტი, რომელსაც ხალხი და საერთაშორისო პარტნიორები აღიარებენ. იმედს ვიტოვებ, რომ სალომე ზურაბიშვილი ყველაფერს იაზრებს. არის საუბარი ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნაზე, რაც არა მგონია, სწორი ნაბიჯი იყოს მისგან. ის არის ამ პროტესტის მნიშვნელოვანი სახე. მართალია, სალომე ზურაბიშვილს რეიტინგი აქვს, თუმცა მის მიერ ახალი პარტიის შექმნა საერთო საქმისთვის ზიანის მომტანი იქნება და კითხვებს გაჩენს.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ სალომე ზურაბიშვილი წარმავალი პოლიტიკოსია...

- ყაველაშვილი რომ მომავალია და ზურაბიშვილი - წარმავალი, ცოტა სასაცილო ამბავია. ქალბატონი სალომე, ამ ეტაპზე, რა ნაბიჯებსაც დგამს, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც შიდა პოლიტიკაში, ისე საერთაშორისო პარტნიორებისთვის. ვიცით, რომ სალომე ზურაბიშვილი იმყოფებოდა მიუნხენის კონფერენციაზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი კონფერენციაა ევროკავშირში. ჩვენგან მიწვეული იყო იგი როგორც ლეგიტიმური ინსტიტუტი მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არ ჰქონდა თანამდებობა. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, სალომე ზურაბიშვილს გამაერთიანებლის როლი ჰქონდეს და არა - დამყოფის. დესტრუქციული თუ ვინმე არის ამ პროცესში, ეს მმართველი პარტია და ყაველაშვილია.

- ურთიერთბრალდებები ქართულ პოლიტიკაში არახალია. მაგალითად, შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ „ტვ პირველს“ - მამუკა ხაზარაძე, ხოლო „მთავარ“ არხს ნიკა გვარამია აკონტროლებს, რომლებიც მას ამ ტელევიზიებში ბლოკავენ.

- არ ვიცი, ვინ ვის აკონტროლებს, ახლა მედიაზე კონტროლი სიგიჟეს წარმოადგენს. ამ არხებზე ყველა ოპოზიციური პარტიის, ადამიანის აზრი ფიქსირდება და ეს ასეც უნდა იყოს. ამაზე კონტროლის მექანიზმი როგორ უნდა გვქონდეს, ვერ წარმომიდგენია... ისევე, როგორც სხვა პარტიებს. სხვათა შორის, ეს პოლარიზებული პოლიტიკური გარემო არც ჩვენთვის, არც ევროპისა და არც ამერიკისთვის ახალი არ არის. მედიაგარემო საკმაოდ პოლარიზებულია ყველგან, ამიტომ მგონია, უნდა შევძლოთ ისეთი დღის წესრიგის შექმნა, რომ მედიისთვის საინტერესო გავხდეთ. ვიღაც კონკრეტული ოპოზიციური ძალები, მათ შორის, არასაპარლამენტო, ხშირად ისეთ განცხადებებს აკეთებენ და ისეთ ქმედებებს სჩადიან, რომ, გარკვეულწილად, მმართველი პარტიის წისქვილზე ასხამენ წყალს, ამიტომ არასერიოზული მგონია მათ ბრალდებებზე საუბარი.

- როგორ აფასებთ სახალხო დამცველის საქმიანობას? კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, ის უნდა გადადგეს...

- სახალხო დამცველის ინსტიტუტი უნდა იყოს ყველაზე ქმედუნარიანი. სამი თვეა, დაახლოებით, ჩვენ ვუყურებთ ადამიანების უფლებების უხეშ დარღვევას, თუმცა, სახალხო დამცველი, ეპიზოდურ გამონათებებს თუ არ ჩავთვლით, დღესდღეობით არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. შესაბამისად, ძალიან ლეგიტიმური მოთხოვნაა, რომ სახალხო დამცველი ჩამოშორდეს ამ თანამდებობას. თუ ის ამას არ აპირებს, მაშინ გვანახოს კონკრეტული ნაბიჯები... მოქმედი პარლამენტის პირობებში მმართველ პარტიას არ აქვს შესაძლებლობა, ახალი სახალხო დამცველი აირჩიოს და არც აირჩევს, რადგან იოსელიანი მათთვის კომფორტული სახალხო დამცველია.

- ვხედავთ, რომ საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა უარესდება, აშშ-ის კონგრესში გაჩნდა კანონი საქართველოს ხელისუფლების არაღიარების შესახებ...

- ურთიერთობები უარესდება დასავლეთსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, რაც ნიშნავს, რომ ქართველი ხალხის გვერდით დგანან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, თუმცა კითხვები აქვთ მოქმედ ხელისუფლებასთან, მათ შორის, პრეზიდენტის არჩევნებთან და ყველა ინსტიტუტთან დაკავშირებით. დაწესებული სანქციები ამის დადასტურებაა. ვნახეთ რეზოლუციები, სადაც უკვე ახალი გარემოცვის დასანქცირებაზეა საუბარი, მათ შორის, ბიძინა ივანიშვილი იქნება ეს თუ სხვა მასთან აფილირებული ბიზნესმენები. დასავლელი პარტნიორები აცხადებენ, რომ აქვთ კითხვები ხელისუფლებასთან და არა ქართველ ხალხთან, რომელიც სამაგალითოდ იცავს ევროპულ მომავალს.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრების განცხადებით, ხელისუფლების წევრები იმიტომ დაასანქცირეს, რომ მეორე ფრონტი არ გახსნა.

- „აბა, ომი გინდა?!“ და მსგავსი განცხადებები უკვე გავიარეთ, ყველამ კარგად იცის, ამ ქვეყნის 80 პროცენტს რა უნდა - ეს არის ევროკავშირში გაერთიანება, რასაც ყველა, მათ შორის ბოლოს ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს. არის მოსახლეობის გულწრფელი პროტესტი, ამიტომ წარმოუდგენელია, ეს პროტესტი არ მივიდეს ლოგიკურ შედეგამდე, რაც გათავისუფლებული პოლიტპატიმრები და ახალი არჩევნებია.

- დაბოლოს, ყველა ელოდება ტრამპი-პუტინის შეხვედრას. როგორ დასრულდება უკრაინის ომი და რა გავლენას მოახდენს ის საქართველოზე?

- ჩვენ საერთაშორისო პოლიტიკისგან განცალკევებით ვერ ვიდგებით. ფაქტია, რომ ამ ომმა, რომელიც უკვე მესამე წელია მიმდინარეობს, ჩვენ, რეალურად, ფანჯარა გაგვიხსნა ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის კუთხით, ვგულისხმობ ევროკავშირს და, ცხადია, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს. ეს არის ამ ომის შედეგი ჩვენთვის. მესმის, რომ ეს ომი ძალიან მძიმეა უკრაინისთვის. წარმოუდგენელია, პუტინის პირობებს ვინმე დათანხმდეს - ამ ომში უნდა გაიმარჯვოს უკრაინამ, სხვა სცენარი ძნელი დასაჯერებელია. ყველაფერი დასრულდება იმით, რომ უკრაინა გაიმარჯვებს და ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, გავწევრიანდეთ ევროკავშირში, სადაც უსაფრთხოება და კეთილდღეობა გარანტირებული იქნება.

> ***„რამდენიმე ხნის წინ იყო შეხვედრა ოთხი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებისა სალომე ზურაბიშვილთან. ჩვენ დღეს საზოგადოება გვთხოვს ერთმანეთთან თანამშრომლობას. ყველა პოლიტიკოსს მოვუწოდებ, საზოგადოების ამ მოთხოვნის მიმდევარი იყოს. ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან ერთად უნდა იმუშაოს როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით***

ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს. უწყების ინფორმაციით, პანამის დროშით მცურავმა გემმა ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურა. სამართალდარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 20 000 ლარზე მეტია. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, ფოთის სასამართლომ გემი სამართალდამრღვევად ცნო და 100-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრა. კანონდამრღვევ გემს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცა.

თორნიკე შარაშენიძე: მერამდენე ასეთი რეზოლუციაა?!

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

ევროპარლამენტი არ ცნობს საქართველოს თვითგამოცხადებული პარტიის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ლეგიტიმურობას, - ამის შესახებ ნათქვამია პოსტში, რომელსაც ევროპარლამენტი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს. იქვე აღბეჭდილია აქციის მონაწილეების ფოტო, საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით

ევროპარლამენტის წევრებმა რეზოლუციით მოუწოდეს საერთაშორისო საზოგადოებას, შეუერთდნენ თვითგამოცხადებული ხელისუფლების ბოიკოტს, რომელსაც ადანაშაულებენ ქვეყნის დემოკრატიის რღვევაში, განსხვავებული აზრის უგულებელყოფაში და მოითხოვენ ახალი, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.

ცნობისათვის: *რეზოლუციას 400-მა ევროპარლამენტარმა დაუჭირა მხარი, 63 წინააღმდეგი წავიდა, 81-მა კი თავი შეიკავა. რეზოლუციის ავტორი 57 ევროპარლამენტარია, ევროპარლამენტის 5 პოლიტიკური ჯგუფიდან - „ევროპის სახალხო პარტიის“, „სოციალ-დემოკრატების“, „კონსერვატორებისა და რეფორმისტების“, „განახლების“ და „მწვანეების".*

ამ რეზოლუციით ევროპარლამენტი გმობს „ქართული ოცნების“ „ოფიციალურ პირებს“ და მოუწოდებს მათ, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ მშვიდობიანი დემონსტრანტების, პოლიტიკური ოპონენტებისა და მედიის წარმომადგენლების ძალადობრივი რეპრესიები; ხაზს უსვამს, რომ საქართველოს თვითდანიშნული ოფიციალური პირები ამჟამად არღვევენ ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ადამიანის საბაზისო უფლებებსა და ქვეყნების ძირითად საერთაშორისო ვალდებულებებს, რითაც ძირს უთხრიან დემოკრატიულ რეფორმებს, რასაც წინ ქვეყნის პოლიტიკური კლასი და სამოქალაქო საზოგადოება უძღვებოდა; საქართველოს „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური რეჟიმის მიერ დაპყრობილ სახელმწიფოდ მიიჩნევს, არ აღიარებს გაყალბებული არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნების“ პარტიის 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩამოყალიბებულ თვითგამოცხადებულ ხელისუფლებას.

რეზოლუცია ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, ისევე როგორც ეროვნულ პარლამენტებსა და საპარლამენტთაშორისო ინსტიტუტებს, მოუწოდებს, არ აღიარონ „ქართული ოცნების“ ერთპარტიული პარლამენტისა და მათი დანიშნული პრეზიდენტის ლეგიტიმურობა; (ევროპარლამენტი) შესაბამისად, მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, შეუერთდეს „ქართული ოცნების“ თვითგამოცხადებული ხელისუფლების ბოიკოტს; აგრძელებს სალომე ზურაბიშვილის საქართველოს ლეგიტიმურ პრეზიდენტად და ქართველი ხალხის წარმომადგენლად აღიარებას.

ევროპარლამენტი მოითხოვს, რომ „საქართველოში ახალი არჩევნები მომდევნო რამდენიმე თვეში, გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოში ჩატარდეს. მოუწოდებს საბჭოსა და წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით

EU-25-ს (უნგრეთისა და სლოვაკეთის გამოკლებით), ორმხრივ და კოორდინირებულ საფუძველზე, დაუყოვნებლივი და მიზნობრივი სანქციები დაუწესონ ბიძინა ივანიშვილს, მის ოჯახსა და კომპანიებს. ყველა მისი აქტივი გაყინონ ევროკავშირში მისი როლისთვის საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში, დემოკრატიული უკუსვლის დაშვებასა და ქვეყნის დეკლარირებული ევროატლანტიკური მისწრაფებების წინააღმდეგ მოქმედებაში; მოუწოდებს საფრანგეთის მთავრობას, ჩამოართვას ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენი და მას პირადი სანქციები დაუწესოს. დანარჩენ სხვა მოთხონებთან ერთად, ევროკავშირი მიხეილ სააკაშვილისა და მზია ამაღლობელის გათავისუფლების საკითხსაც აყენებს. იქვე ჩამოთვლილია მთავრობის წევრები, მოსამართლეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა დაუწესდეთ სანქციები... მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპარლამენტართა უმრავლესობა ღიად დაუპირისპირდა „ქართულ ოცნებას“. გთავაზობთ ამ თემაზე პოლიტიკურ შეფასებებს.

სოზარ სუბარი, პარლამენტარი:

- ევროკავშირის წინა ხელმძღვანელობაშიც არ იყვნენ ანგელოზები, მაგრამ ახლანდელში გაცილებით ბევრია ისეთი, რომელიც საქართველოს მიმართ, უბრალოდ, ანტაგონისტურადაა განწყობილი. თუნდაც იგივე კაია კალასი, კუბილიუსი და ასე შემდეგ. კაია კალასი იყო ესტონეთის პრემიერი და მუდმივად საქართველოს აკრიტიკებდა, რადგან ომი არ გამოვუცხადეთ რუსეთს. ასევე, მოგვიწოდებდა, რომ რუსეთისთვის სანქციები დაგვეწესებინა და ასე შემდეგ. ამ დროს კი მისი ოჯახი, ქმრის ჩათვლით, დღემდე ვაჭრობს რუსეთთან და მილიონებს აკეთებს. როდესაც მას ამის შესახებ ესტონელმა პარლამენტარებმა ჰკითხეს, გაიკვირვა, არ ვიცოდიო. როცა ასეთი მატყუარა ადამიანი ევროკავშირის ერთ-ერთი მაღალი წარმომადგენელი ხდება, რა თქმა უნდა, მისგან კარგ განცხადებებს არც უნდა ველოდეთ. მაგრამ, რას ვიზამთ, ეს არის რეალობა, რომელსაც უნდა გავუძლოთ და რომელიც აუცილებლად შეიცვლება. დღეს გაცილებით მძიმე ამოცანები აქვს ევროკავშირს, როცა იგივე ტრამპი მათ ეუბნება, რომ ამორალურად იქცევიან და ევროპულ საქონელს მაღალ ტარიფებს უწესებს. შესაბამისად, კარგი იქნება, ამ ურთიერთობების დალაგებაზე ილაპარაკოს ევროკავშირის საგარეო კომისარმა და ნაკლებად მოიცალოს საქართველოს შიდა საქმეებში ჩასარევად.

მამუკა ხაზარაძე, „ძლიერი საქართველო“:

- პროტესტი არ ჩერდება, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ეგზისტენციალურ საკითხს ეხება, ანუ სად ვიქნებით როგორც ქვეყანა, ვიქნებით თუ არა დამოუკიდებელი ცივილურ სამყაროსთან, თუ ვიქნებით, რასაც ეგრეთ წოდებული ხელისუფლება აკეთებს და რუსეთის უკანა ეზო ვიქნებით. ამიტომ, ეს პროცესი გაგრძელდება, ამ ქვეყანაში თავისუფლებას არავინ დათმობს, ქვეყანა სრულ იზოლაციაშია, სტრატეგიული პარტნიორობა დაკარგა შეერთებულ შტატებთან, ევროინტეგრაცია გააჩერა, მთელი ეგრეთ წოდებული მთავრობა დასანქცირებულია, არ არსებობს ქვეყანა, სადაც ამათ ელოდებიან, ამიტომ გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ერთია - ახალი არჩევნები და პოლიტპატიმრების გამოშვება, ამას მივაღწევთ, 80 დღე იქნება თუ მე-100, ამას მივაღწევთ, რადგან ეს რაღაც ლოკალური საკითხი არ არის, ეს არის ქვეყნის ეგზისტენციალური საკითხი.

ბადრი ჯაშარიძე, „ძლიერი საქართველო“:

- ქართველი ხალხის რეაქცია იმაზე, რაც „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიდინა, ბუნებრივია, რადგან ქართველი ხალხი თავისუფლების დაკარგვას არ შეეგუება. ასევე, არ შეეგუება ევროპული პერსპექტივის დაკარგვას. „ქართული ოცნება“ აპირებს, საქართველო დატოვოს ევროკავშირის მიღმა. ამას ქართველი ხალხი არ შეეგუება. წინააღმდეგობის გაწევა გაგრძელდება მშვიდობიანად, სანამ ახალი არჩევნები არ დაინიშნება, რათა ამ კრიზისიდან გამოვიდეთ.

თორნიკე შარაშენიძე, საგარეო პოლიტიკის ექსპერტი:

- არალეგიტიმურად გამოცხადება რას ნიშნავს, იცით? სულ რომ გაწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა, მაგალითად, გერმანიამ დახუროს საელჩო და წავიდეს. ეს კი, ბატონო, დემონსტრირებაა არალეგიტიმურობის - ისინი არ ცნობენ ამ მთავრობას, მაგრამ არ ხდება ჯერჯერობით ეს. საელჩო მუშაობს, გამოდის ელჩი, დატუქსავს ხოლმე ამ მთავრობას და ამით მთავრდება ყველაფერი. ევროკავშირი, დიდი ხანია, მხოლოდ და მხოლოდ მოზომილ ქმედებებსა და შეშფოთებებზეა გადასული. ევროკავშირი არის სამოთხე დედამიწის ზურგზე, მაგრამ ამ სამოთხეს აქვს ერთი მინუსი - მან დიდი ხანია, უარი თქვა არა მხოლოდ ძალისმიერ პოლიტიკაზე, არამედ უხეშ პოლიტიკაზეც. შესაბამისად, ის თუ გადაწყვეტს, რაიმე მკვეთრი ნაბიჯი გადადგას, თუნდაც საქართველოსთან მიმართებაში, ჯერ აუცილებლად ამერიკას ჰკითხავს. დიდი ხანია, ის ამერიკის გარეშე მკვეთრ ნაბიჯებს არ დგამს და ვერ დგამს, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები მათ იცავს, მოყოლებული მეორე მსოფლიო ომიდან. ეს არის ფასი, რასაც ევროკავშირი იხდის, თუმცა მშვენიერი ფასია - „შენ დამიცავი, მე კარგად ვიცხოვრებ“, ამაზეა საუბარი. ჩვენც ევროკავშირში შესვლა ამიტომ გვინდა. რადგან ამერიკას არ სცალია საქართველოსთვის, შესაბამისად, ყველაფერი დაპაუზებულია ევროკავშირში. საქართველოსთან მიმართებაში სანქციები და სხვა რაღაცები დაპაუზებულია. მეტიც, ბაიდენის დროსაც კი, როცა მისი ადმინისტრაცია გაცილებით უფრო მტრული იყო „ქართული ოცნების“ მიმართ, ტრამპი ჯერჯერობით ამას არ ამყღავნებს, მაშინაც კი ევროკავშირი სანქციებზე ვერ შეთანხმდა. ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. რეზოლუციას რაც შეეხება, მერამდენე ასეთი რეზოლუციაა? რატომ უნდა იყოს განსხვავებული მოლოდინი მეხუთე თუ მეექვსე რეზოლუციის მერე, როცა არაფერი განსაკუთრებული არ მოხდა მეორესა თუ მესამეს მერე? სალომე რომც ჩათვალონ ლეგიტიმურ პრეზიდენტად, საქართველოს პრეზიდენტს რა უფლებამოსილებები გააჩნია? ჩათვალონ, რა მერე? იქ შეპირდება რამეს და, რომ ჩამოვა, როგორ გააკეთებს, რა ბერკეტები აქვს? ეს არის მთავარი შეკითხვა.

ევროპარლამენტის მიერ მორიგი რეზოლუციის მიღებას გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ევროპარლამენტის მიერ დღეს მიღებულ რეზოლუციას საქართველოს და ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 2023 წლის 26 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს განაცხადა: „ეს გადამწყვეტი ბრძოლაა. ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას, ან ჩვენ უნდა გავანადგუროთ „დიფ სთეითი“. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, დონალდ ტრამპი ამ გადამწყვეტ ბრძოლაში აქტიურად ჩაება და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ მას „დიფ სთეითის“ განადგურების საქმეში. ჩვენი მხრივ, დღეს მიღებული რეზოლუციის საპასუხოდ გვსურს განვაცხადოთ, რომ ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ევროკავშირს ან ევროკავშირი გამონახავს ძალას, რომ როგორმე თავი დააღწიოს „დიფ სთეითის“ გავლენას. როგორც პრეზიდენტ ტრამპს ვუსურვებთ გამარჯვებას „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე ევროპასაც ვუსურვებთ, რომ თავი დააღწიოს „დიფ სთეითის“ მავნე ზეგავლენას. ჩვენ ამ ბრძოლაში პატრიოტი ევროპელების მხარეს დავდგებით. ასევე, გვსურს საზოგადოებას შევახსენოთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის გუშინდელი განცხადება - „ევროპული ინსტიტუტების სერიოზულად აღქმა შეუძლებელია“. ჩვენი აზრით, სამწუხაროდ, ევროპარლამენტის სერიოზულად აღქმა დღეს აბსოლუტურად შეუძლებელია“, - აღნიშნულია 13 თებერვალს გაკეთებულ განცხადებაში.

ორი მთავარი მოთხოვნა და უწყვეტი პროტესტის 81-ე დღე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს მასშტაბით უწყვეტი საპროტესტო აქციები გრძელდება. ყოველდღე, აჭარის მთავრობის სახლთან, იკრიბებიან ადამიანები, რომლებსაც ძირითადი მოთხოვნა აქვთ - ჩატარდეს ხელახალი არჩევნები და გათავისუფლდნენ აქციების დროს დაკავებული პატიმრები

- დღეს ხელისუფლება შევიდა იმ ფაზაში, რომ საკუთარ მოქალაქეებზე თავდასხმით თავს იცავს. რეპრესიული, დიქტატორული კანონები რომ შემოიღეს აქტივისტების, საქართველოს მოქალაქეების მიმართ, ეს იმის ნიშანია, რომ ხელისუფლებას ეშინია ხალხის, რომელიც ქუჩაში გამოდის. რთულია, არ შეიმჩნიო ამდენი ახალგაზრდა, რომელიც მშვიდობიანად აპროტესტებს და იცავს ქვეყნის ევროპულ მომავალს. მნიშვნელოვანია ამ პროცესების უწყვეტობა. ვხედავთ დღესაც და დავინახავთ მომავალშიც, რომ გადამწყვეტ დღეებში უფრო და უფრო მეტი ხალხი გამოდის ქუჩაში, თუმცა პროტესტი, საქართველოს მასშტაბით, უწყვეტია, ქუჩებში მუდმივად დგას გარკვეული რაოდენობის ადამიანი, რომლებიც კეტავენ ქუჩებს, პროტესტის მუხტი მთელ ქვეყანაში იგრძნობა, რაც უმნიშვნელოვანესია. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ვნახეთ ევროპარლამენტის განცხადება, ევროპა მაქსიმალურად დაუჭერს მხარს საქართველოს მოსახლეობას. რეალურად, როგორც მოვიპოვეთ კანდიდატის სტატუსი და ეს მთლიანად გააკეთა ქართველმა ხალხმა, ასევე, შევძლებთ იმასაც, რომ ევროპული კურსი დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას, - განაცხადა აქციის მონაწილე სტუდენტმა მათე ცენტერაძემ.

გაზეთ „აჭარასთან“ თავისი მოსაზრება დააფიქსირა ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო“ წარმომადგენელმა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა მალხაზ ჭკადუამ. მისი თქმით, უნდა გაგრძელდეს პროტესტი ისევე მედგრად და მკაცრი მომთხოვნელობით, როგორსაც 80 დღეზე მეტია, ვხედავთ.

- უნდა გაგრძელდეს ბრძოლა, ჩვენი წინააღმდეგობა, ჩვენი პროტესტი და მშვიდობიანი გამოხატვა, კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა... ვერანაირი წიხლი, ჯარიმა, მარწუხი, ახალი საკანონმდებლო, აბსოლუტურად აბსურდული მექანიზმის დამატება ვერ გააქრობს ამ წინააღმდეგობას. ჩვენი შემართებით, ჩვენი მრავალფეროვნებით, ვფიქრობ, უკვე მოვიყვანეთ გაზაფხული. პროტესტი ხვალ და ზეგ ახალ ტალღაზე გადავა, ის იქნება უფრო მრავალრიცხოვანი, შინაარსობრივად გაჯერებული და, ცხადია, ხელისუფლებამდე მივა ჩვენი ხმა. მათ უნდა გაიგონ, რომ ხალხი იბრძვის საკუთარი თავისთვის, საკუთარი ქვეყნისთვის, საკუთარი თანამებრძოლების გადასარჩენად. ხალხმა საკუთარი პროტესტის სიმბოლოდ გაიხადა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი

მზია ამაღლობელი. მზია ამაღლობელი დღეს არის უკანონო პატიმრობაში და იქაც კი ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენ გავაგრძელოთ ბრძოლა. ზაზა ბურჭულაძემ, ძალიან კარგმა ქართველმა მწერალმა თქვა: ისე გამოდის, ჩვენ საკუთარი კეთილდღეობა გვაქვს გადადებული სამშობლოს გამო, ხალხის გარკვეულ ნაწილს კი სამშობლო აქვს გადადებული საკუთარი კეთილდღეობის გამოო, რაც მართლაც დიდი სირცხვილია. ქვეყანაში, რომელიც თავს იწონებს ილია ჭავჭავაძით, ექვთიმე თაყაიშვილით, დიმიტრი ბაქრაძით

იხ. მე-9 გვ.

პირველი დასტაქარი, ვისაც საქართველოში ვარსკვლავი გაუხსნეს

ღრმა მწუხარებით აგვავსო ცნობილი ექიმის, ბსუ-ის ქირურგიის დეპარტამენტის ემერიტუს-პროფესორის, ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენის, მეცნიერისა და მრავალი თაობის აღმზრდელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ აკაკი ბერიძის გარდაცვალებამ

დიდია ბატონი აკაკის ღვაწლი ქართული მედიცინის და სამედიცინო სკოლის განვითარების საქმეში, მის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტის ჩამოყალიბება და მედიცინის სხვადასხვა მიმართულების პროგრამების განხორციელება. დღესაც მედიცინა წარმოადგენს ერთ-ერთ მოთხოვნად სპეციალობას და ყოველწლიურად, მაღალი კონკურენციის პირობებში, კომპლექტდება.

1992 წელს ბატონი აკაკი უშუალოდ მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სამედიცინო ფაკულტეტის დაარსებაში და ქირურგიის კათედრის ჩამოყალიბებაში. ის იყო ამავე კათედრის პირველი გამგე. ჯერ სრული პროფესორი, ხოლო შემდეგ, 2012 წელს არჩეული იქნა ემერიტუს-პროფესორად. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბატონი აკაკი სწავლობდა და ასწავლიდა ახალგაზრდა ექიმებს. მან მნიშვნელოვნად განავითარა აჭარის ქირურგიის სკოლა, სამართლიანად ითვლება აჭარაში ქირურგიული სკოლის ფუძემდებლად. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა 5 სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი. ბატონი აკაკი ბერიძის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა მისი სტუდენტები და მისი სკოლაა, ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ დღეს რთულ და საპატიო მისიას სამედიცინო სფეროში.

საქართველოს ქირურგთა შორის ბატონი აკაკი ითვლებოდა ერთ-ერთ ნაყოფიერ ქირურგად, რომელმაც ბათუმში ათეულათასობით ოპერაცია ჩაატარა, მათ შორის 44 მის მიერ პირველად განხორციელდა ქირურგიის ისტორიაში, მანვე პირველად გამოიყენა ლაზერის სკალპელი. იგი ამავე დროს ნოვატორი-ქირურგია, 14 საავტორო მოწმობის და შესაბამისი სახელმწიფო პატენტების მფლობელი, მრავალი დოქტორანტის ხელმძღვანელი და ოფიციალური ოპონენტი. გამოქვეყნებული აქვს 180-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის - 5 მონოგრაფია. ბატონი აკაკი ბერიძის წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ღვთაებრივი ხელოვნება“, სადაც სიღრმისეულად არის გადმოცემული დიდი დასტაქრის ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობა მედიცინის ურთულეს დარგში - ქირურგიაში და არა მხოლოდ ქირურგიაში. ავტორი წიგნში ქირურგიის სირთულეებზე, მისი ადამიანის სიცოცხლისადმი მსახურების მნიშვნელობასა და მედიცინის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების, შერწყმაზე გვიყვება.

იგი აქტიურად მონაწილეობდა ჯანდაცვის სისტემის ახალი რეფორმების განხორციელებაში. მთავარი ქირურგისა და მინისტრის პოსტზე ყოფნისას იგი თითქმის 20-მდე ახალი განყოფილების დაარსების, ამოქმედების და კადრების მომზადების ინიციატორი იყო. 2009 წლიდან ბატონმა აკაკიმ საქმიანობა გააგრძელა „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრ მედინაში“ ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელად. სიცოცხლეშივე „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრ მედინაში“ ქირურგიულ დეპარტამენტს პროფესორ აკაკი ბერიძის სახელი მიენიჭა.

ბატონი აკაკი პირველი დასტაქარი იყო, ვისაც ვარსკვლავი გაუხსნეს საქართველოში, ხოლო აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების ეგიდით დაფუძნდა მისი სახელობის ფონდი, რომელიც ახალგაზრდა ნიჭიერი სტუდენტების და ქირურგების პროფესიულ ზრდას და დახელოვნებას შეუწყობს ხელს.

ბატონი აკაკის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, არამედ მთლიანად ქართული სამედიცინო საზოგადოებისათვის. ვუსამძიმრებთ ოჯახს, კოლეგებს, სამედიცინო და საუნივერსიტეტო საზოგადოებას. ბატონი აკაკის სახელი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი ბერიძის უზარმაზარი მემკვიდრეობიდან მთავარი - ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე

რაოდენ გულსატკენია, როცა კარგი ადამიანები სამზეოდან ქრებიან! ასეთები შეუხორცებელ იარას ტოვებენ ადამიანის სულსა და გულში, ჭრილობას - საიდანაც სისხლი მუდამ ცრემლად მოედინება... ჩვენი უფროსი მეგობრისა და კოლეგის აკაკი ბერიძის გარდაცვალება ასეთი მოუშუშებელი დანაკლისია

კარგი ექიმობა მხოლოდ კარგ ადამიანს შეუძლია. ცხოვრების რა სფეროშიც უნდა მოღვაწეობდეს, მის ადგილს საზოგადოებაში პროფესიისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს.

ექიმის სახელი ადამიანს ძალზე რთულ, მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობას აკისრებს. „ექიმობა არის მოვალეობა სხვათა წინაშე, მოვალეობა საკუთარი თავის წინაშე, აგრეთვე, სახელმწიფოსა და მეცნიერების წინაშე“ (შტეფან ცვაიგი).

აკაკი ბერიძე ყველაფერში გამორჩეული ადამიანი იყო. პატარაობიდანვე ილტვოდა ცოდნისკენ, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, შემდეგ წარჩინებით დასრულა სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მისი პროფესიული გზა ჭეშმარიტი ექიმის, მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის საკადრისია, რომელიც დაიწყო რიგითი ქირურგიდან და მიწვდა აჭარის ჯანდაცვის მინისტრის სიმაღლეს. აკაკი ბერიძემ დაიცვა საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაცია, იყო ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. როგორც ყველა ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, იგი არასოდეს შეუცვლია ტიტულებისა და რეგალიების „სიმძიმეს“. მიუხედავად მაღალი თანამდებობებისა და მრავალი მიღწევისა, აკაკი ბერიძე ყოველთვის რჩებოდა მოკრძალებულ, მგრძნობიარე და კეთილ ადამიანად, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ხალხი და თავისი პროფესია. მისი ცხოვრების კრედო იყო:

„უძლურთან მდურვა არ წამოგცდეს. იყავი იმედის დარაჯად!“

კაკო ექიმი - ადამიანი იმედი - ასე შეარქვეს.

დიახ, დიდი იმედი, ღვთის წყალობა და ბედნიერებაა ასეთი სპეციალისტი, ადამიანი, პიროვნება, მეგობარი, კოლეგა რომ გეგულება, მით უმეტეს, გვერდით თუ გიდგას. აკი ბოლო დღემდე ედგა კიდეც გვერდით „ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრ მედინას“ კოლექტივს, ბასრი მახვილივით ჭრიდა მისი სიტყვა და აზრი რთული შემთხვევების განხილვის დროს.

ბატონი აკაკი ბერიძე იყო და დარჩება ამ კლინიკის თავმოსაწონებელ სამკაულად! ამის დასტურია იშვიათი პრეცედენტი - ქირურგიულ დეპარტამენტს ბატონი აკაკის სახელი სიცოცხლეშივე, ჯერ კიდევ მოქმედი ქირურგობის დროს, ეწოდა და ღირსეულად ატარებს მას.

საქმისადმი თავდადებამ, ადამიანურობამ და ყველას მიმართ პატივისცემამ ის ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ბრწყინვალე ქირურგად, არამედ მრავალი კოლეგისა და სტუდენტის მენტორად და მეგობრად.

აკაკი ბერიძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. მასზე ამბობდნენ, პოეზიით სუნთქავს, ხელოვნებით საზრდოობს, ისტორიით სულდგმულობსო.

სიტყვის სიყვარული მხოლოდ ჰობი არ იყო - ის აქტიურად აქვეყნებდა წერილებს, რომლებშიც წერდა არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ ფილოსოფიურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ თემებზე.

მან დატოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა: სამეცნიერო მიღწევები, ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე, მადლიერი პაციენტი და მრავალი სტუდენტი, რომლებსაც გადასცა თავისი ფასდაუდებელი გამოცდილება. ეს გამოცდილება კარგად ჩანს ექიმებისთვის და მკითხველთა ფართო წრისთვის განკუთვნილ წიგნში „ღვთაებრივი ხელოვნება“, რომელიც გზამკვლევი და გზის მანათობელია მკითხველისთვის.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ მან დატოვა შესანიშნავი ოჯახი: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ მის გზას.

„თვითონ ვიწვი და სხვას ვუნათებ“ - ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის... ბატონ აკაკის შეეძლო ეს მშვიდი სინდისით ეთქვა!

ასეთი მისია მხოლოდ ღვთის რჩეულების ხვედრია, ამასთან, დიდი ტვირთია, მძიმე ჯვარია სატარებლად...

ერთხელაც იყო, თავისი ხელით გადაწერილი, თამაზ ჭილაძის ეს ლექსი მოგვიტანა:

არასოდეს მავიწყდება,
დამავიწყდეს არც მინდა,
სხვისი ცრემლი მდიოდა,
სხვისი წვიმა მაწვიმდა.
სხვისი დარდი მტანჯავდა,
სხვისი გული მტკიოდა,
სხვისი კვნესა მესმოდა
თითქოს საიქიოდან.
ჩემი იყო ცხოვრება,
უჩემოდ კი წავიდა
... ისევ სხვისი გულისთვის
დავიწყებდი თავიდან.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ექიმის ნამდვილი პორტრეტი ის როდია, რომელიც, თუნდაც ნიჭიერად დაწერილ, ნარკვევშია დახატული, უკეთეს შემთხვევაში იგი მხოლოდ ასლია, ორიგინალი კი საიმედო საცავში - განკურნებული ადამიანის გულშია შეუმცდარად აღბეჭდილი.

მისი წასვლა შეუვსებელი დანაკლისია. მართლაც, „მეხის გავარდნას ჰგავდა მისი სიკვდილი“. ამ დიდი ადამიანის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში, გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და ყველას, ვისაც ჰქონდა ამ მშვენიერ ადამიანთან ურთიერთობის ბედნიერება.

კოლეგებისა და მეგობრების სახელით,

ჯუმბერ უნგიაძე,
სერგო დუმბაძე,
რუსუდან ლორია,
ვლადიმერ მამულაძე

მოწყენილია შენი მამული

(აკაკი ბერიძის ხსოვნას)

ყველას იმედი იყავი, ძმაო,
დედის უბიდან სითბო თან დაგყვა.
ვცდილობ, ეს ლექსი შერჩეს დროებას,
ცრემლის ტბებიდან მზეში გადამყავს.

ყველას იმედი იყავი, ძმაო,
მაღალ მთის შვილო, მთების არწივო,
ბათუმქალაქში მიტომ მოფრინდი,
რომ სულის სითბო დაგვინაწილო.

წუთშესვენება არც კი გიცდია,
ვინ მოთვლის, იმედს რამდენს ჩუქნიდი.
შენი ცხოვრება ფოლიანტია,
გაბრწყინებული ოქროს შუქნიშნით.

მოწყენილია მამულის ზეცა,
თებერვლის გზები სევდამ მოიცვა,
ეგზოტიკურმა მაგნოლიებმა,
კვირტების ნაცვლად ცრემლი მოისხა.

ბათუმქალაქი მოწყენილია,
ბათუმგორასთან თალხი ფერი დევს.
მე დავწერ ახალ მონოგრაფიას -
„ღვთის ხელდასმული კაკო ბერიძე“.

შორსგამხედავი იყავი მუდამ -
„კინის ჯვარს“ ჭვრეტდი „კინის მთებიდან“.
წინასწარმეტყველს მაგონებ, ძმაო,
დამიდასტურებს ალბათ თემიდა.

წუთშესვენებაც კი არ გიცდია,
ვინ მოთვლის, იმედს რამდენს ჩუქნიდი.
შენი ცხოვრება ფოლიანტია,
გაბრწყინებული ოქროს შუქნიშნით.

ცისანა ანთაძე

ვალად არ დავიტოვებ

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ბათუმში, ერთ გახმაურებულ ღონისძიებაზე შედგა. თავისებური სიდარბაისლით მომესალმა, მთიანი აჭარის, კერძოდ, შუახევის ამბების გამოკითხვით გული რომ იჯერა, მორიდებით შემაპარა: ზაფხული დადგება თუ არა, სანალიას (აჭარა-შავშეთის ქედი) მთაში ჩვენთან ერთად წამოდი, იქიდან კავკასიონის მთები მოჩანს, ორი დღე დავრჩეთ და ფოტოები გადავიღოთო.

პროფესიონალ ქირურგს მშობლიური კუთხე, სათაყვანებელი ოლადაური გამორჩეულად უყვარდა. ყოველ დაძახებაზე მთაში ამოდიოდა, სიხარულს იზიარებდა, მწუხარებას ინაწილებდა. ნადირობის დიდი ტრფიალიც იყო. ასაკს თავისი გაჰქონდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა. ისიც მითხრა, რომ გული წყდებოდა, თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში მარეთის ხეობელთა გამოსვლას რომ ვერ დაესწრო. თავი იმით დაიმშვიდა, რომ ამ ღონისძიებას მისი ძმა, ბატონი ჯემალი ესწრებოდა.

მართლაც, მოსიყვარულე ძმები იყვნენ. შუახეველებს გვეამაყება, რომ საქართველოს ისტორიაში მეორე ფაქტი იყო, ძმებმა ერთ დღეს რომ დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები, ერთმა მედიცინასა და მეორემ - ტექნიკურ მეცნიერებაში.

ბატონი აკაკი, მისი თანასოფლელი და თანაკლასელი ზურაბ მაკარაძე, დარჩიძეებელი დიმიტრი ცეცხლაძე მარეთის ხეობიდან პირველები იყვნენ, ვინც უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ, მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვაში დიდი წვლილი შეიტანა.

მოულოდნელი იყო ბატონი აკაკის გარდაცვალება, მაგრამ სანუგეშოდ გვრჩება მისი საქმეები.

უფლის ნებით, მის სურვილს - სანალიადან კავკასიონის ქედი ფოტოზე დავაფიქსირო, ვალად არ დავიტოვებ, აუცილებლად შევუსრულებ.

ოთარ ცინარიძე

„ჩვენებურების ქართული“ – წიგნი მესამე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ უკვე დაამკვიდრა სიტყვა „ჩვენებური“, როცა გამოსცა წიგნი „ჩვენებურების ქართული“. ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის წიგნი მეცნიერებმა, მკვლევარებმა, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების მეტყველების ნიმუშებზე მუშაობას იწყებდნენ, ფასდაუდებელ საუნჯედ შეაფასეს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნი გაზეთ „აჭარის“ რედაქციაში აიწყო და დაკაბადონდა

ქალბატონი შუშანა არ ივიწყებს იმ მხარდაჭერას, რაც მაშინ ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა - აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ და აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბესარიონ ჯორბენაძემ გაუწიეს, ამ საშვილიშვილო საქმის დაწყება კი პროფესორებმა ივანე ქავთარაძემ და ალექსანდრე ღლონტმა გადააწყვეტინეს.

უნიკალურ ნაშრომზე მრავალი რეცენზია დაიწერა, მისი განხილვები მოეწყო სამეცნიერო დაწესებულებებში, სკოლებში. ავტორს შეხვედრებს უმართავდნენ. ვალში არც შუახეველები და მის მშობლიურ სოფელ ლომანაურის მკვიდრნი დარჩნენ. დადებითმა შეფასებებმა, წლების განმავლობაში მოძიებული მასალების სიმრავლემ განაპირობა „ჩვენებურების ქართულის“ მეორე წიგნის გამოცემა. მაშინ გაცხადდა, რომ ავტორი მესამე წიგნზე მუშაობდა.

ტიტანურ შრომას, თურქეთის რესპუბლიკაში შემოქმედებითი მივლინებებით გასვლას, სოფელ-სოფელ სიარულს, არქივებში მტვერდადებული, დრო-ჟამისგან გაყვითლებული ფურცლების ნახვას არ მოერიდა მეცნიერი და, ლამის ჯანმრთელობის დაკარგვის ფასად, მესამე წიგნიც გამოსცა. ვიდრე თურქეთში მცხოვრები 5 მილიონამდე „გურჯის“ სულიერი და მატერიალური ცხოვრების პირობებით, ტაო-კლარჯეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებული მკვლევარები „ჩვენებურების ქართულის“ მესამე ტომს შეაფასებენ, ჩვენი გაზეთის მკითხველს წიგნის შესახებ ინფორმაციას მივაწვდით.

„ჩვენებურების ქართულის“ მესამე წიგნის წინასიტყვაობაში წერია: „მოგზაურობისას და ხალხური მასალების შეგროვებისას თანმხლები სიძნელეების დაძლევაში სულის სიმტკიცეს და მხნეობას მანიჭებდნენ ჩვენი დიდი წინაპრების - გრიგოლ ხანძთელის, მტბევრების, ოპიზრების, იშხნელების, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის ნათელი აჩრდილები. მათ ნაკვალევზე სიარული ბევრს მავალებდა. ვისმენდი მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ნაამბობს. შეუძლებელია, გული არ მოგიკლას მათი სინანულ-სიმწრით დამძიმებულმა ამონაკვნესმა: „გურჯი ენა მიყვარს, ჰამა ვის დეველაპარაკო? გენჯები აღარ ლაპარაკობენ გურჯულა. დავრჩით მე და ჩემი ენა ობლათ, იეთიმათ... ჩემ თავ, ჩემ ენას ვტირი და ვჩივი... ოფ, ოფ, ოფ, რა წარე ხარ, ჩემო ჩიტის ენავ, ჩემო ტკბილო ხმავ, ჩემ ნენეს სიმღერავ...“. მეც ვტიროდი მათთან ერთად, მათი ნაამბობით მათსავე მძიმე სავალ გზას გავდიოდი, გული მტკიოდა, სულის მალამო კი მათი „ჩიტის ენით“ ნაამბობი იყო. ნენეს სიმღერასავით ჩამესმოდა მათი მონაყოლ-მონათხრობი, რომლებიც ხან გულს მტკენდა, ხან მაიმედებდა. ასე დავკრიფე იქ ქართული სიტყვები...“.

მესამე წიგნის მნიშვნელობა იმითაც დიდია, რომ ავტორმა მკაფიოდ, ყველას გასაგონად ჯერ ხმამაღლა განაცხადა და შემდეგ წერილობით შემოგვინახა უცხოეთის ცის ქვეშ მცხოვრები წმინდა ქართულით მოსაუბრე, სუფთა სისხლის ქართველთა დამოკიდებულება დედაენისადმი. ის დიდი ლტოლვა, რასაც ისინი იჩენენ ქართული ოჯახის შესანარჩუნებლად.

ავტორი გაბედულად აცხადებს: „ყველაზე „ყურიდან ყურში გადასულ და აქნამდი მოსულ“ ამბებს. საინტერესო ისტორიული ფაქტებითაა გაჯერებული მუჰაჯირი ქართველების - ენვერ, მელაჰათ ხიმშიაშვილების საუბრები. უამრავი ბიოგრაფიული თუ ისტორიული დეტალი ცოცხლდება ხიმშიაშვილების, ცივაძეების, დუდი ხანუმ ბეჟანიძის, ლომან ეფენდი ქარცივაძისა და სხვა პირთა შესახებ“.

გულისამაჩუყებელია 84 წლის მოხუცის ქმედება, რომელიც ქალბატონ შუშანას ბავშვივით გამოეტირა, ავტობუსში ავიდა და საქართველოში მასთან ერთად წამოსვლა სურდა. ბოლოს იგი სიძემ და ქალიშვილმა ძლივს ჩაიყვანეს.

წიგნის პირველი კარი მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველებას ეძღვნება. ძველი ქართული ენის მკვლევარები თუ დაინტერესდებიან და აქ შეტანილ სტატიებს თვალს გადაავლებენ, მრავალ სიტყვას ნახავენ, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია შეტანილი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში ნაკლებად გამოიყენება.

ქვეთავში „ორდუ“ ავტორი შეეცადა მუჰაჯირების კულინარია, ხალხური ადათ-წესებისადმი დამოკიდებულება წარმოეჩინა: „ახალი წლის ადეთი ბრევლი არ ვიცით. ჰამა სივთე ვინცხაი სახლში რომ შამუა, იმას ევთლით, რაფერი ფეხი აქო. ...“ ან კიდევ:

„- ბაბაანეი გეიხედავდა კარში ღამეში, თვარიანში, იტყოდა: - თვარე ახალია, ლობიო არ მოკრიფოთ, დაჩიჩავსო...“.

ამ ქვეთავშია რამდენიმე მუჰაჯირი ქართველის ნაამბობი. მკითხველისა და დაინტერესებული მკვლევარის თვალს არ გამორჩება ფაჰრეთტინ საასენის (კონცელიძის) ნაამბობი. ის გვარების ისტორიაზე ამახვილებს ყურადღებას.

„- ჩვენი სოფელი რომე გახსნეს, გააკეთეს ჩვენმა დიდვანებმა, ადგილებ დაარქვეს ქართული სახელები, აჭარიდამ მოტანილი სახელები: მაღლა ყანა, დაბლა ყანა, წიფნარი, ქოილიზიარი, ახო, ღელე გაღმაკილდე ქვეშაი, ღორღნალი, ჭალები, გობელინი, ყაბალაღი, იათაღი, გელიფაცხა, ოსმანა დუზი, შავო ტყე, ქედი, ნაფლატაი...“.

აღარ შევუდგებით ყველა ტოპონიმის გადმოწერას, რომლებიც ავტორს შეტანილი აქვს ქვეთავში - „ბეიკოზი-სტამბოლი“. ერთი კი ცხადია, რომ აღნიშნული ტოპონიმები აჭარის მთიანეთის მეტწილ სოფლებში გვხვდება. ავტორი შეეცადა, ქართულ მეტყველებასა და შემონახულ ენასთან ერთად ადგილების სახელებიც წარმოეჩინა.

„მთქმელი (მოსაუბრე) - თოფან (სულხან)-შაქაფ იუქსელი (ლომინაძე, 37 წლის. დამთავრებული აქვს ანკარის უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, ახლა ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა, კერძო ტელეარხში მუშაობს)“, - ასე იწყებს ავტორი მისი ნაამბობის ჩაწერას, რომელიც 1996 წლის 17 თებერვლით თარიღდება და სტამბოლშია ჩაწერილი. სულხანის წინაპრები მაჭახელას ხეობის სოფელ ქედქედიდან ყოფილან. მისი ნაამბობი საინტერესოდ იკითხება და მსგავსებაა მაჭახელას ხეობაში არსებულ ადათ-წესებთან.

ისმეთ დინდარის (მიქელაძის) სახელი და საქმეები იმ ქართველი პაციენტებისთვის ნაცნობია, რომლებიც გულის დაავადებებს უჩივიან. ისმეთს საქართველოში არ იცნობდნენ, მაგრამ 1996 წელს, წიგნის ავტორმა სტამბოლში, მის ოჯახში მოწვეული ჩურუქსუელების (ქობულეთელების) მეტყველების ნიმუშები ჩაიწერა. აქ გაეცნობით: ასიე შალის (შავიშვილი-მიქელაძე), აიშე წიგნაძის (აქქოი), სულთან იავუზის (მაკარაძე), ნური ჩელების (ჩელებაძე) და სხვების ნაამბობს.

საინტერესოა ქვეთავი „მუჰაჯირი ქართველები“. ხიმშიაშვილების გვარის შესახებ ყვება ენვერ ხიმშიაშვილი (აჯარი). ეს უკანასკნელი ამ საუბრის შემდეგ, საქართველოს ხშირი სტუმარი გახდა.

ართმელაძეები აჭარაში, მეტწილად ხულოსა და შუახევში სახლობენ. მათ ახლობელს შუშანა ფუტკარაძემ სტამბოლში მიაკვლია. ნაამბობიდან ჩანს, რომ ხასან-ფეჰმი ილმაზის (ართმელაძე) წინაპარი 1886 წელს ოსმალეთში სოფელ ბეღლეთიდან მოსულა. ხასანი ქართულ ქორწილებს იხსენებს. ჩანაწერს ალამაზებს სიმღერის ტექსტი „იევრი“. სხვათა შორის, ამ სიმღერას ასრულებს შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ავთენტური ანსამბლი „ჭვანა“. „განდაგანას“ უბადლო შემსრულებელი ხაბელაშვილებელი მუხამედ ართმელაძე ცეკვას ამ სიმღერას აყოლებდა, როცა სოფელში არსებულ უხუცესთა ანსამბლში სოლისტი იყო.

„ - ჩემს წიგნებში ერთი ლექსი ვნახე დაწერილი. ის შენდა დაგაწერიო. ვინცხაი სეიდი აღა ყოფილა: იმისი გოგო დონებია ვინცხა აბდი აღას, მარა სეიდს აღარ უნდა აბდი აღაზე გოგოს მიცემა. ლექსი ეს არი“, - იხსენებს ლექსსაც მელაჰათ სეიდიშვილი (ხიმშიაშვილი). ეს ის ქალბატონია, რომელიც რამდენჯერმე სტუმრობდა აჭარას. მისი მონატრება საქართველოსადმი წიგნის ავტორმა გამოხატა ლექსით: „მენატრები, ჩემო ხულო“. ამ ლექსის მიხედვით თურქეთში მცხოვრებმა ცნობილმა მომღერალმა ბაიარ შაჰინმა (გუნდარიძე) ხულოელ იზოლდა სურმანიძესთან ერთად გადაიღო კლიპი „მენატრები, ჩემო ხულო“. ისიც საგულისხმოა, რომ მალაჰათ ხიმშიაშვილის ცხოვრებასა და პედაგოგიურ საქმიანობაზე ქალბატონმა შუშანამ ქართულ პრესაში ბიოგრაფიული ნარკვევი გამოაქვეყნა.

„ყაშმერობა“ თურქული სიტყვაა და ქართულად შაირობას ნიშნავს, ადრე მერისის ხეობის მკვიდრთა სალაპარაკო ლექსიკონში ეს სიტყვა თავისი დანიშნულებით გამოიყენებოდა, მაგრამ ახლა მას იშვიათად იყენებენ. „ყაშმერობა, 1995 წელი“ ნახავთ წიგნის 147-გვერდზე.

საინტერესოდ იკითხება „კაიმაკამის ხებერი“. ხებერი (ხაბარი) ამბავს ნიშნავს, კაიმაკამი კი გამგებელს, მმართველს.

წიგნში შეტანილი ამბები რომ დაუღალავ და ენერგიულ შრომას ითხოვდა, ეს კარგად წარმოჩნდა თითოეული რესპონდენტის ნაამბობში. მათ ეროვნულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ ამბების უმრავლესობა „მემლექეთთან“, მუჰაჯირების ადგილის დედასთანაა კავშირში.

„ჩვენებურების ქართულის“ პირველი და მეორე წიგნების მსგავსად, ავტორი მესამე წიგნშიც ცდილობს სოფელ-სოფელ, კარდაკარ იაროს და გოგიტიძეები, ფუტკარაძეები, თუნდაც მარეთის ხეობის სხვა გვარების წარმომადგენლები წარმოაჩინოს.

ქართველებს თურქეთში საკუთარი ხელწერა რომ აქვთ და წარმატებული ადამიანები

„ გულისამაჩუყებელია 84 წლის მოხუცის ქმედება, რომელიც ქალბატონ შუშანას ბავშვივით გამოეტირა, ავტობუსში ავიდა და საქართველოში მასთან ერთად წამოსვლა სურდა. ბოლოს იგი სიძემ და ქალიშვილმა ძლივს ჩაიყვანეს.

წიგნის პირველი კარი მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველებას ეძღვნება. ძველი ქართული ენის მკვლევარები თუ დაინტერესდებიან და აქ შეტანილ სტატიებს თვალს გადაავლებენ, მრავალ სიტყვას ნახავენ, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია შეტანილი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში ნაკლებად გამოიყენება

ჰყავთ, ეს ცხადზე უცხადესია. „ჩვენებურების ქართულის“ მესამე წიგნში ავტორი იმ მთქმელებსაც წარმოაჩენს (აბაშიძე, ცივაძე, შავიშვილი, თავაძე, წიგნაძე, ბალაძე, დუმბაძე, აბულაძე), რომელთა შვილები და ახლობლები თურქეთსა და მის ფარგლებს გარეთ დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ.

„1996 წლის 4 აპრილი, იზმირი, საუბრობენ მაჭახლიდან იზმირში გადასახლებული ზედა მაჭახლელები“, ეს თავი წიგნის 233-ე გვერდიდან იწყება. ბედისა და განგების უკუღმართობამ, ისტორიული მაჭახლის ხეობა ორად გაჭყო. მაშინ, როცა ავტორი ხსენებულ საუბრებს იწერდა, ბევრი რამ ორად გაყოფილი ხეობის მკვიდრების ურთიერთობებიდან სამზეოზე არ იყო გამოტანილი. მას შემდეგ წიგნის რედაქტორმა, ისტორიის დოქტორმა როინ მალაყმაძემ, თუნდაც, ბაიარ შაჰინმა ბევრი გააკეთეს ხეობის მცხოვრებთა ურთიერთობებისთვის. ზედა მაჭახლელების საუბრებში ჩანს მშობლიურის მონატრება, არ დავიწყება აქ დატოვებული ახლობლებისა და ქართული ენის პატივისცემა. ავტორმა მათ იზმირის მსგავსად, სტამბოლშიც მიაკვლია და საუბრები ერდალ ქუჩუკის (დუმბაძის) ოჯახში შეკრებილი მაჭახლელი ქართველებისგან ჩაიწერა. ინეგოლი და იქაური ქართველები მაინც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენენ საქართველოსა და ეროვნული ტრადიციებისადმი, რაც ავტორმა წიგნში შეტანილი ჩანაწერებითაც დაადასტურა.

შუშანა ფუტკარაძემ წიგნს ფოტოები და 50-მდე მთქმელის სახელ-გვარები დაურთო. მის რედაქტორზე უკვე ითქვა, რეცენზენტია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელზა ფუტკარაძე. წიგნი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა.

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

რაც რამდენიმე ათეული სოფლის ინტერნეტის ქსელით დაფარვის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ „ოუფენ ნეტის“ პროექტი საქართველოს ათასამდე დასახლებული პუნქტის ინტერნეტიზაციას ითვალისწინებს, რომლის ფარგლებში, ჯამში, 500 ათასი მოქალაქე თანამედროვე სტანდარტების სატელეკომუნიკაციო სერვისების მიღებას შეძლებს.

* * *

ბოლო წლებში დაბა ქედის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. 9 აპრილის ქუჩაზე სკვერი დიდი ხნის ისტორიას არ ითვლის. იგი ქედელებისა და მათი სტუმრების დასვენების, რიგი ღონისძიებების გამართვის კერად იქცა. მოსახლეობის მოთხოვნითა და მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, 9 აპრილის ქუჩაზე კიდევ ერთი სკვერი შენდება. სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია. აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მამუკა თურმანიძე, მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე და სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

* * *

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, საქართველოს სპორტული დელეგაციიდან პირველი ოქროს მედალი ბათუმის ყინულის შესანიშნავ სასახლეში ფიგურულ ციგურაობაში ქართველმა მოციგურავე ინგა გურგენიძემ მოიპოვა. ფესტივალის ფარგლებში ბათუმის ყინულის არენაზე შეჯიბრება ფიგურულ ციგურაობაში 12 თებერვალს დაიწყო და მასში 32 ქვეყნის 50 სპორტსმენი მონაწილეობდა.

* * *

აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, მინისტრის მოადგილე არჩილ ბერიძემ, სამინისტროს პასუხისმგებელმა მუშაკმა ჯამბულ აბულაძემ, სამინისტროს მიერ წელს დაგეგმილი პროგრამები და სიახლეები შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მერიასა და საკრებულოს თანამშრომლებს, ფერმერებს გააცნეს. მინისტრმა ზაზა შავაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ანზორ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრმა ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ სოფლის მეურნეობაში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. ითქვა, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 4 805 972 ლარით გაიზარდა და 36 820 550 ლარს შეადგენს. იგი მოიცავს 17 პროგრამას და 12 ქვეპროგრამას.აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სამინისტრო 2025 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, დაფინანსდება არანაკლებ 2 500 პროექტი, რომლის ბიუჯეტი წელს 3 856 000 ლარია.

აჭარა 103

აქტიური ქველმოქმედება – ადრეული ასაკიდან

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

*დღეს ახალგაზრდები, სწავლასთან ერთად, ბევრ კარგ საქმესაც აკეთებენ. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტიც სწორედ ასეთია. **თათია ემირიძე** 23 წლისაა, თუმცა რამდენიმე წელია, ჩართულია ქველმოქმედებაში. ის დროს ფუჭად არ კარგავს და ცდილობს, ყოველი დღე საკუთარი თავის განვითარებას მიუძღვნას. თათია ფრენბურთითაა გატაცებული და პარალელურად სამოდელო და სამსახიობო ხელოვნებითაც არის დაინტერესებული.*

- ფრენბურთში აჭარის ჩემპიონი ხართ, ამ სპორტის სახეობით როგორ და როდის დაინტერესდით?

- 12 წლის ვიყავი, თანატოლებთან ერთად ფრენბურთს ეზოში ვთამაშობდი, როცა ჩემმა პირველმა მწვრთნელმა თეა მძელურმა დამინახა და ჩემში მონაცემები დაინახა. შემომთავაზა ერთ საცდელ ვარჯიშზე წასვლა, თუ მომეწონებოდა, დავრჩენილიყავი. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ინტერესი კლასიკური და საპლაჟო ფრენბურთის მიმართ და უკვე მე-11 წელია, გრძელდება. ჩემი გუნდი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ჩემპიონატში. ზოგადად, ასაკობრივი გუნდები ბათუმში აჭარის პირველობას თითქმის არასდროს თმობენ და ეს ჩვენი უძლიერესი მწვრთნელების დამსახურებაა.

- როგორია ჩემპიონობის განცდა?

- საოცარი. არათუ ჩემპიონობა, პატარა გამარჯვება, ერთი ქულაც კი იდეალურ განწყობას გიქმნის და გაძლევს მოტივაციას, სამომავლოდ ძალები გააორმაგო.

- ფრენბურთის თამაშთან ერთად, აქტიურად ხართ ჩართული ქველმოქმედებაშიც...

- ქველმოქმედება არის საქმე, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ჩემს სულიერ და პიროვნულ მდგომარეობაზე. ვცდილობ, ამ კუთხით აქტიური ვიყო. ქველმოქმედებისადმი ჩემი ინტერესი აღმზრდელი ბებია-ბაბუის დამსახურებაა. ისინი მასწავლიდნენ და მინერგავდნენ, როგორ უნდა შემძლებოდა ადამიანების უანგარო სიყვარული და როგორ დავხმარებოდი ყველას, ვისაც ეს სჭირდებოდა. ახლა ისინი ცოცხლები აღარ არიან, თუმცა ვგრძნობ, ამაყობენ და უხარიათ, რასაც ვაკეთებ და ამით ბედნიერი ვარ.

- რომელი იყო ყველაზე ემოციური მომენტი თქვენი ქველმოქმედების გზაზე?

- 18 წლის ასაკში დავიწყე ქველმოქმედება, წავედი სამტრედიაში მცირეწლოვან, ობოლ ბავშვებთან. ყველაზე ემოციური მათი ბედნიერი და გაბრწყინებული სახეების დანახვა იყო. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს საქმე. იმ დღის შემდეგ მოტივაცია მომემატა და მჯერა, კიდევ ბევრი წელი მივცემ ადამიანებს მიზეზს ბედნიერებისთვის.

- ქველმოქმედებისას რა სირთულეებს აწყდებით?

- ძირითადი სირთულე ტანსაცმლის და პროდუქტის შეგროვების პროცესია. ჯერჯერობით არ მაქვს საკმარისი ბიუჯეტი იმისთვის, რომ ვინმესთან დაუგეგმავად წავიდე. არის ოჯახები, სადაც 5, 7, 9 ობოლი ბავშვი ცხოვრობს. მინდა, თითოეულს თანაბარი ყურადღებით მოვეკიდო და ამიტომ დიდი დრო მეხარჯება. სხვა სირთულე არ მაქვს. როცა საქმე ბავშვებს ეხება, შეუჩერებელი ვარ.

- ვინ გეხმარებათ ორგანიზებაში?

- თავიდან ყველაფერს მარტო ვგეგმავდი და ვაკეთებდი, ახლა ჩემი ორი უძვირფასესი მეგობარი მიმაგრებს ზურგს და ერთიანი ძალებით ვუმკლავდებით. აქვე ვიტყვი, თუ ამ ინტერვიუს მეშვეობით ქველმოქმედების მსურველი გამოჩნდება, შეუძლია მომწეროს სოციალურ ქსელში და ერთად გავაკეთებთ კარგ საქმეს.

- ვისაც ქველმოქმედების სურვილი აქვს, რას ეტყვით?

- თუკი ერთხელ მაინც გაიფიქრებთ, რომ ვიღაცას სჭირდებით და გაქვთ რესურსი, მას მძიმე ყოველდღიურობა შეუმსუბუქოთ, ეს აუცილებლად გააკეთეთ. ამას გამოცდილება არ სჭირდება, მთავარი სურვილი და მონდომებაა. ნებისმიერ მსურველს დიდი სიამოვნებით ავუხსნი იმ დეტალებს, რისი ცოდნაც ამ საქმეში გამოადგებათ.

- რა მიზნები გაქვთ ქველმოქმედებასთან დაკავშირებით?

- მინდა მომავალში საქველმოქმედო ფონდი დავაარსო, რათა უფრო მასშტაბური გავხადო ეს საქმე.

- თქვენი კარიერა მრავალფეროვანი რომაა, ამას სილამაზის კონკურსში მონაწილეობა და საპრიზო ადგილის დაკავებაც ადასტურებს...

- 2023 წელს სოციალურ ქსელში საქართველოში სილამაზის კონკურსის შესახებ ვნახე განცხადება. გავგზავნე მონაცემები და მალევე დამიკავშირდნენ. კონკურსი ზაფხულში გაიმართა და მე „მის ინტერკონტინენტალისა“ და „მის ელეგანტის“ ნომინაციებში გავიმარჯვე. ეს ამბავი ჩემი უახლესი წარსულის მოგონებებიდან ერთ-ერთი საუკეთესოა.

- თქვენი აზრით, როგორ განისაზღვრება ნამდვილი სილამაზე?

- ჩემი აზრით, ყველა ადამიანი თავისებურად ლამაზია. სილამაზეს არ უნდა დავუწესოთ სტანდარტები. ვფიქრობ, ბუნებრივი სილამაზე ყველაზე მნიშვნელოვანია.

- ჩვენთვის ცნობილია, რომ შემოთავაზებები სამსახიობო კუთხითაც გაქვთ...

- შემოთავაზება არის ერთ-ერთი წარმატებული თურქული სერიალიდან, სადაც მცირე, თუმცა საინტერესო როლზე დამტკიცების შანსი მაქვს. ასევე, ჩემი მონაცემები გაგზავნილია სხვადასხვა თურქულ ბრენდსა და პროდაქშენთან (ფილმის მწარმოებელი კომპანია). ამჟამად ვეუფლები თურქულ ენასაც, ჩემი მიზნების მიღწევა რომ გამიმარტივდეს. ძალიან მინდა, ამ სფეროშიც ვცადო ბედი და ბავშვობის ოცნება ავიხდინო.

- რა გაძლევთ მოტივაციას?

- პირველ რიგში, საკუთარი თავი და ჩემი შესანიშნავი ოჯახი. ჩემი ძმა ყველაზე დიდი გულშემატკივარია. მთავარია, საკუთარი თავი შევიყვაროთ დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით, არასდროს შევუშინდეთ რთულ დღეებს და უფრო მოტივირებულებმა განვაგრძოთ ცხოვრება.

ხსოვნა

ალექსანდრე ბერიძე

მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა. გარდაიცვალა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, სპმთპ-ის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ბერიძე.

წავიდა ჩვენგან ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, ღირსეული ინტელიგენტი, კეთილი, პატიოსანი, ერთგული, თანამდგომი, საუკეთესო ორგანიზატორი და მრჩეველი, კარგი სამეგობრო პიროვნება. ის დააკლდა არა მარტო ჩვენს ორგანიზაციას, დააკლდა აჭარას და სრულიად საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას. მან მთელი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია. მისი საქმე სამაგალითოა მომავალი თაობებისათვის, სამწუხაროა, რომ ამიერიდან ბატონ ალექსანდრეს მართალი სიტყვა და სიყვარული დაგვაკლდება.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ბალაძეებში 1937 წელს. დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა. 1961-1966 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1966 წლიდან პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო მთიანი აჭარის სოფელ ბრილში. ერთი წლის შემდეგ ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს.

1968 წლიდან მუშაობას იწყებს ქობულეთის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის გამაჯანსაღებელი სახლის დირექტორად, ხოლო შემდეგ - ქობულეთის მოსწავლეთა და მოზრდილთა ბანაკ-პანსიონატ „ტალღის“ დირექტორად.

1975 წლიდან აჭარის პროფსაბჭოს განათლების, კულტურის, სპორტის და ტურიზმის განყოფილების გამგეა, ხოლო 1981-1986 წლებში ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს კულტურის განყოფილების გამგედ აწინაურებენ.

1987 წელს საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს, 2005 წლიდან კი აჭარის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეა.

წლების განმავლობაში ერთგულად და პატიოსნად ემსახურა მასწავლებელთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაქმებულთა გაერთიანების და უფლებების დაცვის საქმეს. უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აღდგენასა და განვითარებაში, აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის განმტკიცებასა და გაძლიერებაში. ჩვენი პედაგოგების ძალა და იმედი იყო.

ახლა, როცა ალექსანდრე ბერიძის ცხოვრების განვლილ გზას თვალს ვავლებთ, უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ ის იყო დიდი ადამიანი, სხვისი გაჭირვებისა და ტკივილის გამზიარებელი, თანამდგომი, მადლის უხმაუროდ მკეთებელი, პროგრესული ხედვისა და კულტურის მქონე პიროვნება, რომელსაც შეეძლო ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი ყოფილიყო გაწონასწორებული, დინჯი და აუჩქარებელი, არ დაეკარგა ღირსება. ყოველთვის იდგა სიმართლისა და სამართლიანობის მხარეს და არავისთვის იშურებდა სითბოსა და სიყვარულს.

ბატონი ალექსანდრე ყოველთვის იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანების კანონიერი უფლებების და ინტერესების დამცველი, შუამავალი და პრინციპული ლიდერი, მაღალი დონის ხელმძღვანელი.

ნათელი და სანთელი ბატონ ალექსანდრეს ხსოვნას.

სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭო;

სპმთპ-ის აჭარის რესპუბლიკური საბჭო;

სპმთპ-ის ბათუმის საქალაქო, შუახევის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედისა და ხულოს რაიონული საბჭოები;

ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომიტეტი

ლევან ნატარიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ცინარიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბერიძეების გვარის ეთნარქი ვაჟა ბერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახევის რაიონული ორგანიზაცია და მისი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხულოს რაიონული ორგანიზაცია და მისი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ქედის რაიონული ორგანიზაცია და მისი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხელვაჩაურის რაიონული ორგანიზაცია და მისი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ქობულეთის რაიონული ორგანიზაცია და მისი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე ბერიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სიტყვა – კოლეგას, უფროს მეგობარს

აჭარის პედაგოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა ვეტერანი პედაგოგი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე ალექსანდრე ბერიძე

მისი განვლილი გზა, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობა ნათლადაა წარმოჩენილი სამძიმრის იმ წერილში, რომელიც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ ჩვენს გაზეთს გამოუგზავნა: „გული ვერ იტევს ტკივილს. იმდენი მაქვს სათქმელი, რით დავიწყო, რომელი ერთი მოვიგონო... ვერასდროს დავივიწყებ იმ სიკეთეს, ერთგულებას და ბრძნულ დარიგებებს, რაც თქვენგან მქონდა. თქვენთვის სრულიად უცნობსა და პროფკავშირულ საქმიანობაში ახალბედას გამომიცხადეთ სრული ნდობა, მხარდაჭერა და თანადგომა.

განცდებით დამძიმებული ვიხსენებ ჩვენს თორმეტწლიან თანამშრომლობას, ბრძოლას, მეგობრობას. შეუფასებელია თქვენი ღვაწლი პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის საქმეში. სამ ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკურ საბჭოს ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მიუხედავად მრავალი ზეწოლისა და დაშინებისა, უკან არ დაგიხევიათ და არ გიღალატიათ პროფკავშირის ღირებულებებისთვის, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა მასწავლებელთა ინტერესების დაცვაში. მახსენდება უამრავი ფაქტი, კრიტიკულ მომენტებში, თქვენთვის ჩვეული პროგრესული და პრინციპული გადაწყვეტილებების მიღების შესახებ. საზოგადოებამ არ იცის ბევრი, რასაც ახლა გეტყვით საჯაროდ:

2010 წლის ოქტომბერში გაგიცანით. ჩვენი ორგანიზაცია უმძიმეს ზეწოლას განიცდიდა მანანა ღურჭუმალიძის გადადგომის შემდეგ, საგანგებო ყრილობისათვის ემზადებოდა. თქვენ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდით. გადავწყვიტე, ჩემი კანდიდატურა დამეყენებინა და საბუთები შემოვიტანე. ყრილობის წინასაარჩევნო კამპანია ჩემთვის უცნაური და ამოუხსნელი იყო. რაიონებში გამართულ შეხვედრებზე ყველა არ დამხვდა კეთილგანწყობილი. არ ვიცოდი და გვიან შევიტყვე, დამოუკიდებელი პროფკავშირის კონტროლისათვის, თურმე ხელისუფლებას თავისი კანდიდატურა ჰყავდა. მე, რიგითი მასწავლებელი, მიუღებელი ვიყავი მათთვის. თქვენი ორგანიზებით, ბათუმში აჭარის აქტივთან შედგა შეხვედრა. თბილი ღიმილით მისმენდა აჭარის შეკრებილი საზოგადოება. ეს მუხტი, სითამამე და პრინციპული ხედვა თქვენ დანერგეთ და გააღვივეთ მათში. დამოუკიდებელ, მაგრამ გამოუცდელ კანდიდატურას გვერდში დამიდექით როგორც მამა, უფროსი ძმა, უფროსი მეგობარი და მრჩეველი, მასწავლებელთა დამოუკიდებელი და ძლიერი გაერთიანების შექმნის იმედი ჩამისახეთ.

2010 წლის 30 ოქტომბერს თავმჯდომარეობდით ყრილობას, რომლის ჩაშლის მცდელობაც განათლების სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული. შევძელით და არჩევნები ჩატარდა წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. მას შემდეგ, არ მავიწყდება და ხშირად ჩამესმის თქვენი ომახიანი, გამარჯვებული ხმა: „111 დელეგატის მიერ არჩეულია მაია კობახიძე!“.

ჩემი არჩევის შემდეგ გაძლიერდა ზეწოლა ჩემზე, თქვენზე და მთლიანად ორგანიზაციაზე. ამის პარალელურად ენით აღუწერელი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დიპლომატიურმა კორპუსმა. არასდროს დამავიწყდება თქვენი ნუგეში, კეთილი და გაოგნებული გამომეტყველება, როდესაც მოგიყევით ჩემზე განხორციელებული მუქარის შესახებ. მაშინაც თქვენ იყავით ჩემი ძალა და საყრდენი, მიუხედავად იმისა, რომ თავად განიცდიდით დიდ ზეწოლას, რაც არასდროს გითქვამთ, გვიან შევიტყვე. თქვენი უტეხი ერთგულება იყო იმის მიზეზი, რომ შემომითვალეს: „ღურჭუმალიძე კანადაში გავაქციეთ და შენ აჭარას შეაფარებ თავს!“.

ჩემო ერთგულო მეგობარო, როგორ არ გავიხსენო 2011 წლის გაზაფხულზე, პირველი შეხვედრა მაშინდელ განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინთან, რომელიც საელჩოების ინიციატივით და ძალისხმევით, დიდი ბრიტანეთის ავტორიტეტული მედიატორული კომპანიიდან მოწვეულმა მედიატორმა ჯეიმს ვუდსმა დააორგანიზა. მინისტრი ცდილობდა, შეცდომაში შევეყვანეთ და შემოგვთავაზა ორგანიზაციის აღდგენა არა ქვეყნის მასშტაბით, არამედ თქვენ დაგეწყოთ აჭარიდან. თქვენ უარყავით, თქვენი გონიერებით, პრინციპულობით, ერთგულებითა და კეთილსინდისიერებით. არ შეუშინდით ზეწოლასა და კრიზისს. პირად კეთილდღეობაზე მაღლა ყოველთვის იდგა თქვენი პასუხისმგებლობა,ზნეობრივი და მორალური ღირებულებები. იდეების ერთგულება, პედაგოგთა ინტერესების დაცვა თქვენი ცხოვრების მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

2012 წლის ოქტომბრიდან მოიხსნა ზეწოლა ჩვენს ორგანიზაციაზე, დავიწყეთ აღდგენა და აჭარა იყო მოწინავე. გამოირჩეოდით წევრთა რაოდენობით, ნდობით, აჭარის რაიონული/საქალაქო ორგანიზაციების ლიდერთა გუნდურობით, გაუჩერებელი შრომითა და უფლებების დაცვისათვის ბრძოლით.

წარმატებების პარალელურად წუხდით და არ გასვენებდათ 2009 წელს ჩამორთმეული ქონების საკითხი. ბათუმის ცენტრში მდებარე, ჩვენი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული „მასწავლებლის სახლის“ კუთვნილების ყველა დოკუმენტი არქივიდან „გაქრაო“... ერთი წელიც არ გასულა, მთიან აჭარაში მასწავლებელთა კონფერენციების შემდეგ, სასიამოვნო სიურპრიზი მომიწყვეთ და ბათუმის ცენტრში საოფისე ფართი მაჩვენეთ, „შევიძინეთ და დავაპროექტეთო“. ერთად დავხაზეთ მასწავლებელთა სასემინარო ოთახი, პატარა კაბინეტი, ფინანსისტების სამუშაო ოთახი და გასულ შემოდგომაზე, აჭარის რესპუბლიკური საბჭოს კონფერენციის შემდეგ, გემოვნებით გარემონტებული, ინვენტარით აღჭურვილი ოფისი დამახვედრეთ.

ენით აღუწერელ საქმიანობასა და უამრავ ტკბილ მოგონებებთან ერთად, წევრთა შეკრებისა და მუშაობისათვის ეს სივრცეც დაუტოვეთ აჭარელ მასწავლებლებს, აჭარის რესპუბლიკურ საბჭოს. არ ვიცნობდი აჭარას და აჭარლების ხასიათს, თქვენ შემაყვარეთ. ჩემთვის სტიმულის მომცემი და ახალი ენერგიის წყარო იყო აჭარაში ჩატარებული ყოველი თქვენი ღონისძიება, აჭარელი მასწავლებლების კრიტიკული გამოსვლები, იყო ზეიმიც! არაერთგზის მითქვამს და გავიმეორებ: „როგორც საქართველოს საზღვრებს იცავს მტკიცედ და მედგრად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ასე აძლიერებს სპმთპის აჭარის რესპუბლიკური საბჭო ჩვენს ორგანიზაციას!“, რაც თქვენი ლიდერობით, ორგანიზებულობით, სამართლიანობით, მასწავლებლებისა და საქმის სიყვარულით, პიროვნული თვისებებითა და პროფკავშირის ღირებულებების დაფასებით იქნა მიღწეული. ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში იყავით 7 ყრილობის უცვლელი თავმჯდომარე, თქვენი პროფესიონალიზმით, კულტურითა და წესრიგით.

უმძიმესია თქვენი გადასვლა იმქვეყნიურ, მარადიულ ცხოვრებაში პედაგოგთა საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით, პროფკავშირული მოძრაობისთვის ჩვენს ქვეყანაში. სიტყვები არ მყოფნის, არ არსებობს თქვენი პიროვნების სიდიადის საზომი ერთეული. ჩვენ ერთად შევქმენით თვისებრივად ახალი პროფკავშირის ისტორია. თქვენი კეთილგონიერება, თანამედროვე ხედვა, მენეჯერული უნარები მყარი საძირკველია მასწავლებელთა ერთობისა.

გამოვთქვამ ღრმა მწუხარებას და ვუსამძიმრებ თქვენს ოჯახს. მათ მწუხარებას შეამსუბუქებს თქვენი ღვაწლი.

ნათელში იყოს თქვენი სპეტაკი და კეთილი სული!

მაია კობახიძე

მადლობის გარათი

კეთილშობილი პიროვნება

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი პროფესიებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამოირჩევიან. აი, ამ საუკეთესოთა შორის გახლავთ ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ახალგაზრდა ქირურგი ირაკლი ნაკაშიძე. ეს კეთილშობილი პიროვნება გამოირჩევა პაციენტების მიმართ გულში ჩამწვდომი, ენაწყლიანი საუბრით და დიდი პროფესიონალიზმით. მადლობას იმსახურებენ ამავე საავადმყოფოს ექთნები მადლენა დიასამიძე და მაგული კონცელიძე, რომლებიც გულმოდგინედ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

ლევთერ ჭოჭუა,
ფოთის საპატიო მოქალაქე

ორი მთავარი მოთხოვნა და უწყვეტი პროტესტის 81-ე დღე

მე-5 გვერდიდან

და ასე შემდეგ, არ გვეკადრება, არ შეიძლება, თავს ვუხრიდეთ კანონებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს კი არ იცავენ, არამედ საპირისპიროდ მუშაობენ. ჩვენ არ შეიძლება ხელისუფლება ვაღიაროთ ლეგიტიმურად, რომელიც სიმართლეს აცხადებს ტყუილად და რეალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფება საკუთარ მოქალაქეებთან, რომლებიც, როცა დგანან ქუჩაში, დგანან ყველასთვის, მათთვისაც კი ვისაც დღეს ეშინია ხმის ამოღება, ვისაც დღეს კორუფციული გარიგებებით კარგი ცხოვრება აქვს მოწყობილი. თქვენს აუდიტორიას მივმართავ, ნუ დაუჯერებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ თურმე აქციებზე თანხას არიგებენ. მერწმუნეთ, ყველაფერი, რაც კეთდება, დროშის ყიდვაა თუ რომელიმე რაიონში წასასვლელად ტრანსპორტის დაქირავება, ძალიან მწირი რესურსების გაერთიანების შედეგია. ჩვენ სამშობლოს არც რამე სარგებელზე გავყიდით და არც ფულადი სახსარი მიგვაჩნია ყველაზე მნიშვნელოვნად სიცოცხლეში. თუ ადამიანებს შეუძლიათ, 30 დღეზე მეტი იშიმშილონ, ჩვენ შევძლებთ, რომ როგორღაც გავძლოთ მწირი რესურსებითაც. ამიტომ, ნუ დაუჯერებთ ამ პროპაგანდას. აქ ადამიანები დგანან, რა თქმა უნდა, საკუთარი თავისთვის, სხვებისთვის, სამშობლოსთვის, საკუთარი შვილებისთვის. ან - ახლა, ან არასდროს შეიცვლება ეს ქვეყანა და ფაქტია, რომ ძალიან დიდი სიჯიუტე, ბრძოლისუნარიანობა დაგვეხმარება იმაში, რომ შეიცვალოს ქვეყანა და დაუბრუნდეს ევროპული განვითარების გზას, - გვითხრა მალხაზ ჭკადუამ.

განცხადებები

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ხელოვნების, მასმედიის, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკური კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს თვითდასაქმებულთა, ვაჭრობის სფეროში მომუშავეთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში დასაქმებულთა აჭარის დამოუკიდებელი დარგობრივი პროფესიული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მანანა შარაშიძე, კესარია, ლევან კაჭარავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ბერიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «აზაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/02/25, 17 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გულის სიმღერა, რომელიც ბადრი პაქსაძეს აცოცხლებს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის ქარტიის“ ხელმძღვანელი ***ბადრი პაქსაძე*** *არა მხოლოდ საუკეთესო უფლებადამცველია, არამედ პოეტური ნიჭითაც არის დაჯილდოებული, უყვარს ხელოვნება, ლიტერატურა. მწერალი ადამიანის უფლებების უპირველესი დამცველია - ასე სწამს ბატონ ბადრის, რომელსაც ასობით ადამიანი სამართლიანობის ერთგულ მცველად მიიჩნევს და აფასებს, რადგან მათ თავისი საქმითა და სიტყვით, ლექსებით ექომაგება და სატკივარს უამებს, რომლებსაც ინტერნეტსივრცეში აქვეყნებს და მკითხველიც საკმაოდ ჰყავს.*

- ჩვენი გაზეთის სტუმარი არაერთხელ იყავით და გულახდილადაც გვისაუბრია. ამჯერად რას ეტყვით მკითხველს?

- სათქმელს რა გამოლევს. მინდა, ერთ საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. ძალზე მტკივნეულია ის, რაც ხდება ღამის კლუბებში, რა განუკითხაობაცაა. ძნელია, როცა ხედავ, როგორ იღუპებიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები (მათ შორის არასრულწლოვნები), ნებსით თუ უნებლიეთ ხდებიან დამოკიდებულები და ეძალებიან ნარკოტიკულ საშუალებებს. არავინ აკონტროლებს, ღამის კლუბებში რა ფსიქოტროპულ ნივთიერებებს იღებენ, რას ეწევიან, რას იკეთებენ, რასაც ზოგჯერ ფატალური შედეგი მოსდევს. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩათრეული და ჩაფლულია ონლაინთამაშების ჭაობში, ბოლო თეთრამდე აგებენ ფულს, ძარცვავენ საკუთარ ოჯახებს. არავის აინტერესებს, საბოლოოდ ვის ჯიბეებში ილექება ეს უზარმაზარი თანხები. ვფიქრობ, სწორედ ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს ამ მტკივნეული საკითხების სამართლიანად გადაწყვეტაზე.

- ინტერნეტსივრცეში პოპულარული ხართ. ეს გიძლიერებთ შემოქმედებით მუხტს?

- როცა ვწერ, ჩემში მთელი სამყაროა შემოდის, ირეალურ ხმებს ჩემს ხმას ვუერთებ და ჩემებურად ვამბობ, მგონი, ვმღერი უფრო, ეს გულის სიმღერაა, რომელიც მაცოცხლებს... პოეზია ჩემთვის შინაგანი, სულიერი მოთხოვნილებაა. ჯერ კიდევ 13-14 წლის ასაკში დავიწყე ლექსების წერა. პოპულაობისა რა მოგახსენოთ, შეფასება მკითხველისთვის მიმინდია. დღემდე არცერთი ლექსი არ დამიწერია თავის გამოჩენის ან შექებისთვის, ეს ჩემი შინაგანი სამყაროა, სათქმელი, რომელიც უნდა ვთქვა, გამოვხატო. ვცდილობ, ცუდი არასოდეს დავიმახსოვრო, მიმტევებელი და გულწრფელი ვარ. ყოველივე ეს და ინტერნეტსივრცეში დადებითი გამოხმაურებები მიძლიერებს შემოქმედებით მუხტს.

- როგორც ვიცი, პოეტების საერთაშორისო ასოციაციის აჭარის რეგიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდით. ამჟამად რა სიახლეა ამ კუთხით?

- ამჟამადაც ვხელმძღვანელობ. სიმართლე ის არის, რომ, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, შეფერხებული იყო საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის საქმიანობა, თუმცა უკვე გვაქვს სიახლეები. მინდა, მადლობა გადავუხადო თანადგომისთვის, ერთგულებისთვის ცნობილ პოეტს, საქართველოს პოეტების საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან ფანჩვიძეს, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

- მწერალი - ადამიანის უპირველესი დამცველი - ეს თქვენი სლოგანია. როგორ მოგყავთ მოქმედებაში როგორც სამართალდამცავს?

- დიახ, ასე მწამს, ეს არის კაცობის საზომი, სხვაგვარად არც მესმის. უპირველეს ყოვლისა, ღირსეული ადამიანის ცხოვრების კრედოს უნდა წარმოადგენდეს სამართლიანობა... ღრმად მწამს, რომ მწერალი უნდა იყოს თავისი დროის ჭეშმარიტი მესიტყვე - ადამიანის სულიერი აღმზრდელი და სამართლიანი დამცველი. უნდა იცავდეს ყოველი ადამიანის ინტერესს, შეძლებისდაგვარად ხელს უწვდიდეს გაჭირვებულს, უნდა იყოს სამაგალითო, წარმოადგენდეს ღირსებისა და პატიოსნების ეტალონს. როცა დაზარალებულის ან გაჭირვებულის ინტერესებს ვიცავ, მომყავს ჩემი სლოგანი მოქმედებაში. სიმართლე და სამართლიანობა, უპირველეს ყოვლისა.

- ახლახან ინტერნეტში განთავსებულ თქვენს ლექსებს მრავალი დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. იმედს გვიღვიძებსო, წერდნენ კომენტარებში...

- თქვენი გაზეთით მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა იმ მეგობარს, ვინც ინტერნეტსივრცეში აქტიურობს, მიწონებს და მიფასებს ლექსებს. პოპულისტი ნამდვილად არ ვარ, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, თუმცა მკითხველთა ასეთი სითბო, მხარდაჭერა ძალზე მახარებს. რისი იმედი უნდა გვქონდეს? მოკლედ გეტყვით - საქართველოს უკეთესი მომავლის.

- როდის გსტუმრობენ მუზები?

- როგორც გითხარით, ლექსების წერა 13-14 წლის ასაკში დავიწყე. ჩემი სულიერი მდგომარეობა ჩემი შთაგონებაა. ხშირად ახალი ლექსის დაბადებას, დაწერას გარკვეული მიზეზ-გარემოება თან ახლავს, განსაზღვრავს, მაგალითად, შეგრძნება სიკეთის, სილამაზის, სიყვარულის თუ უსამართლობასთან ჭიდილი, ანუ რა დროს რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდე. ეს არის ემოციები, რომლებიც მერე ლექსებად გარდაიქმნება. ყოველივე ეს მაძლევს საშუალებას, ვიცოცხლო, ვიბრძოლო და ვიშრომო.

- წიგნი, რომელმაც წაკითხვის შემდეგ გაუქრობი სევდა დაგიტოვათ... და ახლა რას კითხულობთ?

- მინდა, უფრო სხვაგვარად გიპასუხოთ, წიგნების კითხვა ჩემი ჰობია. უწიგნური ჰგავს უფრთო ჩიტს, რომელსაც სურს ცაში აფრენა, მაგრამ არ შეუძლია. ყოველი წიგნი, რომანი, მოთხრობა, ჩანაწერი თუ ნარკვევი, პოეზია თუ პროზა... თავისებურ გავლენას ახდენს ჩემს შეხედულებებსა თუ ემოციებზე, თუმცა ამათგან მინდა გამოვყო წმინდა ღვთიური წიგნი, რომელიც არასოდეს ძველდება, რომელსაც ყავლი არასოდეს გაუდის, რომელიც იძლევა ყოველდღიურ სულიერ საზრდოს, აკეთილშობილებს და მოძღვრავს ადამიანებს და მივყავართ სწორი, სამართლიანი, ჭეშმარიტი გზით. ეს არის ჩემთვის შეუცვლელი, ყოველდღიურად საკითხავი წიგნი.

- რომელი მიმართულების მხატვრობა და მუსიკა მოგწონთ?

- გამოვყოფდი რამდენიმე მიმართულებას, მაგალითად, ბაროკოს სტილს, რომელიც იყენებდა მძაფრ და წმინდა ადგილად აღსაქმელ დეტალებს დრამის, სიმძაფრის გრანდიოზულობის გადმოსაცემად სკულპტურაში, ფერწერაში, ლიტერატურაში. მაინტერესებს ექსპრესიონიზმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მხატვრობის, ლიტერატურის, თეატრის, კინოს, არქიტექტურის განვითარებაში. რაც შეეხება მუსიკას, განა არის ისეთი ადამიანი, დიდი თუ პატარა, ვინც არ უსმენს მუსიკას? მომწონს კლასიკა, ქართული მრავალხმიანობა, ვუსმენ ფანოღს, უცხოურ სიმღერებს...

- როცა ბუნებაში ხართ... პეიზაჟები, თქვენს აღტაცებას რომ იწვევს...

- ბედნიერი ვარ ბუნებაში ყოფნისას. აისის თუ დაისის, დღის თუ ღამის ყველა პეიზაჟი მიტაცებს, ღამეული ცაც იწვევს კაცს საოცნებოდ... ჩემი ლექსებიდან დავიმოწმებ სტრიქონებს:

შუქს ათოვდა მთვარე ციდან,
საოცარი იდგა ღამე,
ცად ვარსკვლავი წილსა ჰყრიდა.

მახსენდება იმ ადამიანთა გაოცება, ვინც პირველად ნახა ჩვენი ბუნება და აღტაცებას ვერ მალავდა. დიახ, ბუნებაში უბრალო გასეირნებაც კი გრძნობებს აფაქიზებს. საქართველოს ბუნება უნიკალურია. აქ მთას თავისებური ხიბლი აქვს, ბარს კიდევ - თავისებური. ერთმანეთთანაა შერწყმული და შენივთებული, რომლის მსგავსი სხვაგან არსად მოიძებნა. გულდასაწყვეტია, რომ არ შეგვიძლია მისი სათანადოდ დანახვა და შეფასება. გასული საუკუნის 90-იან წლებში გაჩეხეს და გაანადგურეს ტყეები, იავარქმნეს ბუნების სილამაზე და სიმდიდრე. სამწუხაროდ, არც დღესაა ამ მხრივ საქმე უკეთესად. დიახ, ვერ ვისწავლეთ ბუნების წიგნის კითხვა.

- რა არის თქვენი ყველაზე დიდი საფიქრალი?

- ქვეყნის აწმყო და მომავალი. საქართველო, ისევ და ისევ, ისტორიის გზაგასაყარზეა. ამ დროს აუცილებელია ეროვნული კონსოლიდაციის იდეის წინა პლანზე წამოწევა, ეროვნული თანხმობა და ერთობა, უმრავლესობის აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, რაც უგულებელყოფილია. ათეული წლების განმავლობაში ხელოვნურად მიმდინარეობს საქართველოს მოსახლეობის დახლეჩა-დანაწევრება. საქართველო - უპირველეს ყოვლისა!.. არ არსებობს ამაზე უკეთესი ცნება. ჩვენ უნდა ვიცავდეთ სამშობლოს. ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, ყოველი ჭეშმარიტი საქართველოს მოქალაქე უნდა იდგეს საკუთარი სამშობლოს სადარაჯოზე. ჩემი სამშობლოს სიამაყე ეროვნულ და სულიერ თავისუფლებაშია, ეს არის ჩვენი: მამული, ენა, სარწმუნოება.

- როცა დაჩაგრულ ადამიანს ხვდებით და უსმენთ...

- ძალიან ბევრი ადამიანის სატკივარი მომისმენია, არასოდეს გავურბივარ ასეთ ადამიანებს, პირიქით, მთელი გულისყურით ვუსმენ, თანაც ვფიქრობ, როგორ შევძლებ მისი ტკივილის შემსუბუქებას, დახმარებას. ყველა ადამიანის ტკივილს საკუთარ ტკივილად აღვიქვამ. ყველაზე ცუდი ის არის, როცა ხედავ, ადამიანი ცამდე მართალია და უსამართლობით იჩაგრება. სახელმწიფო მუდმივად უნდა იდგეს თავისი მოწოდების სიმაღლეზე, აუცილებელია კანონის უზენაესობა, იგი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს და არა - შერჩევითი. სახელმწიფო უნდა იცავდეს თავისი მოქალაქეების ინტერესებს, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებაა, გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების შესწავლა-დადგენა და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

- წინაპრები, რომლებთანაც სულიერ ერთობას გრძნობთ...

- ყველაფერი, რაც ქართველებს მოგვყვება დღემდე, თავისი ტრადიციებით და წეს-ჩვეულებებით, ჩვენი დიადი მეფეების და წინაპრების დამსახურებაა. მათ დანატოვარს თვალისჩინივით უნდა დაცვა და გაფრთხილება. ჩვენი სახელმწიფოებრივი სიდიადე, ეროვნული სიამაყე ეროვნულ ფესვებშია. ამ ფესვებთან ვგრძნობ სიახლოვეს და სულიერ ერთობას, რაც ჩემს ცხოვრებას ასაზრდოებს.

- „რომელმან შექმნა სამყარო“ - როცა ამაზე ფიქრობთ.

- სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთია. ყოველ ჩვენგანს გვაკისრია საკუთარი პასუხისმგებლობა და პირადი ვალდებულება ღმერთის, ერის, ქვეყნის წინაშე... ღმერთის წინაშე უნდა იყო პირნათელი, გაუძლო გამოცდას, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი მოვლენილი, შეგეძლოს მოთმენა და იყო მიმტევებელი, ხელს უწვდიდე გაჭირვებულს, იყო სამართლიანი, პატივს სცემდე ყველას, აკეთო სიკეთე... „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ - ესაა ჩემი მრწამსი.

- ყველაზე მეტად რა გახარებთ, რისი გაკეთება გსურთ?

- რა თქმა უნდა, ყოველთვის მახარებს: მშვიდობა, ქვეყნის სიძლიერე, მოქალაქეების კეთილდღეობა. მაქვს და მომავალშიც მექნება სურვილი, ვაკეთო ის, რაც კარგ, სამართლიან საქმედ მიმაჩნია, რასაც ქართული, ეროვნული, ტრადიციული ჰქვია.

- ციფრულ ტრანსფორმაციას როგორ შეეწყვეთ?

- ის თანამედროვეობის მოწოდება და მოთხოვნაა. სწორედ მან შეცვალა მსოფლიოს სახე იმდენად, რომ მთელი მსოფლიო გამოვიდა ყოველგვარი რკინის ფარდებიდან - დღეს არაფერი რჩება მიუწვდომელი. ციფრულმა ტექნოლოგიებმა დააახლოვა სხვადასხვა ერი და ხალხი, სრულიად დამოუკიდებელი და ერთიანი გახადა საქმიან სფეროებში. ეს არის ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი დამსახურება. წარმოუდგენელია დღეს გზის გაკვალვა, თუ ტექნოლოგიას არ ფლობ. ასე რომ, მეც გადავეწყვე, როგორც იტყვიან, ციფრულად.

- თქვენ და ოჯახი - როგორი მეოჯახე ხართ?

- მახარებს ჩემი ოჯახი - საუკეთესო მეუღლე, ორი შვილი, აღზრდილი ქართულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე. არც მე ვარ ცუდი მეოჯახე.

- თქვენ და ბათუმი - როგორ გესახებათ იგი მომავალში?

- ბათუმი ჩემი ქალაქია, ქათქათა, ულამაზესი ხედებით, ზღვის სანაპიროთი. ბათუმი სიყვარულის ქალაქია, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული. ბათუმელების მომღიმარი სახეები ყველა სტუმარს განაწყობს კეთილმოსურნედ, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ ქალაქის განაშენიანებაში შეცდომებია, არის უბნები გარკვეული შეუსაბამო დაგეგმარებით, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს არ გააჩნიათ საპარკინგე ტერიტორია, რაც დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას და სხვა, თუმცა ქალაქს აქვს უდიდესი შესაძლებლობა, განვითარდეს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.

- დაბოლოს კითხვა, რომელიც ხშირად გიჩნდებათ?

- როცა ახალგაზრდა ამბობს: „ჩემი სამშობლო ევროპაა“, ასეთი ადამიანის არ მესმის და მიჩნდება კითხვა - რატომ? ნამდვილი პატრიოტი საკუთარი ქვეყნის დესპანი უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის. სამშობლოს მოყვარული ადამიანი უნდა იდგეს მის სადარაჯოზე, იცავდეს ქვეყნის ინტერესებს, თავის ქართველობას, წინაპართა ტრადიციას და წეს-ჩვეულებებს, ყოველი პატრიოტი ქართველი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სხეულით და სისხლით დაიცვას მამული, ენა, სარწმუნოება.

სამსუნში „ქართული კულტურის ასოციაცია“ გაიხსნა

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სამსუნში „ქართული კულტურის ასოციაციის“ გახსნის ღონისძიებაზე ქართული დელეგაციის ვიზიტი დასრულდა

ბათუმის მერიის ინფორმაციით, დელეგაციის შემადგენლობაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებთან ერთად, ბათუმის საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე იმყოფებოდა.

ქალაქ სამსუნში „ქართული კულტურის ასოციაციის“ შექმნა მიზნად ისახავს თურქეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი კულტურული ურთიერთობებისა და რეგიონში მცხოვრები თურქეთის ქართული ფესვების მქონე მოქალაქეების საქართველოსთან კავშირების გამყარებას. ასოციაციის დახმარებით, ქართულ ენასა და კულტურას ამჯერად ქალაქ სამსუნში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავლები შეისწავლიან.

„ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ქალაქ ტრაპიზონსა და უნიეშიც. დელეგაციის წევრებმა მოინახულეს ფაცასა და უნიეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები და გაეცნენ მათ საქმიანობას. ასევე, გაიმართა ორმხრივი ოფიციალური შეხვედრები, სადაც თურქეთ-საქართველოს კულტურულ, ეკონომიკურ და საგარეო ურთიერთობებზე ისაუბრეს.

ქართული დელეგაციის ვიზიტი, რომელიც გუშინ დასრულდა თურქეთის რესპუბლიკაში, ტრაპიზონის საკონსულოს ორგანიზებით გაიმართა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.